პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქომუნისტი

ფასი 10 კაპ.

შაბათი, 30 იანვარი 1937 წ. № 24 (4826)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარია ჯაშუშობის, გამცემლობის, ხალხის ღალატის, ბანდიტიზმის, ადამიანთა სისხლით ვაჭრობის, თვალთმაქცობის, არამზადობის საზიზღარი ფაქტები, რომლებიც [illegible] დადასტურდა ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესზე. სიკვდილი, სიკვდილი სისხლიანი ტროცკიზმის ნაბოლარებს!

გავსრისოთ ქვეწარმავალნი!

ხალხის მტრების, სოციალისტური სამშობლოს მოღალატეების, დივერსანტების, ჯაშუშებისა და საზიზღარი მკვლელების, სისხლიანი ტროცკისტული ბანდის გასამართლება დასრულდა, საბჭოთა ხალხმა გამოიტანა განაჩენი.

საბრალმდებო დასკვნიდან და სასამართლო პროცესზე არამზადა ბრალდებულთა დაკითხვიდან ნათლად გამოირკვა, თუ რა გამცემლურად, ფარისევლურად და ამავე დროს ყაჩაღურად მოქმედებდა ტროცკისტული ანტისაბჭოთა „პარალელური ცენტრის“ ყველა მონაწილე.

საბჭოთა მთავრობის ძალდატანებითი დამხობა, ტერორის გზით ბოლშევიკური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოსპობა, რათა საბჭოთა კავშირში არსებული სოციალისტური წყობილება შეეცვალათ კაპიტალისტური წყობილებით, — აი ტროცკისტული „პარალელური ცენტრის“ მთავარი ამოცანა, რის განსახორციელებლად იგი შენიღბვით იბრძოდა ობერ-ბანდიტის ტროცკის მითითებით.

გათახსირებულთა და სისხლისმსმელთა ფაშისტური ხროვა, რომელიც საბჭოთა სამშობლოთი ევაჭრებოდა ფაშისტური ქვეყნების მთავრობებს, თავის დამანგრეველ მუშაობას ეწეოდა არა მარტო ცენტრში, არამედ ცალკე რესპუბლიკებშიაც. მაგალითად, პიატაკოვმა და სერებრიაკოვმა აღიარეს, რომ მათი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრი ამიერ-კავკასიაში.

„1934 წელს მოსკოვში ჩამოვიდა მდივანი და მე და პიატაკოვს გვაცნობა, — აცხადებს ბრალდებული სერებრიაკოვი, — რომ ამიერ-კავკასიაში მუშაობა ჩაღდება, ცენტრი დასახულიაო და ითხოვდა ჩვენს სანქციას.

მდივანმა გვაცნობა, რომ მათთან დასმული იყო ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტის საკითხი. ჩვენ პიატაკოვთან ერთად მივეცით მითითება ხელი მოეკიდნათ ტერორისტული აქტის მომზადებისათვის სტალინის წინააღმდეგ, ისე კი, რომ არ შეეჩერებინათ ტერორისტული აქტის მომზადება ბერიას წინააღმდეგ“.

მაგრამ მოღალატენი, დივერსანტები, ფაშისტი არამზადები მარტო ამით როდი კმაყოფილდებოდნენ. ისინი ცდილობდნენ გაეფართოვებინათ ტერორისტული აქტები, გაერთიანდნენ ამიერ-კავკასიის ყველა ჯურის ანტისაბჭოთა, განადგურებული კონტრრევოლუციური პარტიების ნაბოლარებთან.

„.... როდესაც 1935 წელს მე კვლავ შევხვდი პიატაკოვს, — ცინიკურად განაგრძობს თავის ჩვენებას სერებრიაკოვი, — წამოიჭრა კიდევ ერთი ტერორისტული აქტის მომზადების საკითხი, სახელდობრ ეჟოვის წინააღმდეგ. მდივანს მიეცა დავალება დაეყენებინათ გაერთიანების შესაძლებლობის საკითხი დაშნაკებთან სომხეთში, მუსავატელებთან აზერბეიჯანში და ქართველ მენშევიკებთან საქართველოში“.

ამ დირექტივის შესასრულებლად ბუდუ მდივანმა კიდევაც გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. „დაშნაკებისა და მუსავატელების შესახებ 1935 წლის დამლევს მდივანმა მაცნობა, რომ მან მხოლოდ მოსინჯა კავშირი, მენშევიკებთან კი მან შეთანხმება დასდო“ — ასე მოუთხრობს სასამართლოს სერებრიაკოვი თავიანთ და საქართველოს კონტრრევოლუციური ტროცკისტული ცენტრის საზიზღარ მოქმედებაზე.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მშრომელებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სწორედ მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ბატონობის დროს, იმპერიალისტ ინტერვენტთა პირდაპირი დირექტივებით ეწყობოდა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის სისხლისმღვრელი შეტაკებები.

კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი ბანდიტები მათთან გაერთიანდნენ „ერთიანი ფრონტით“ საბჭოთა ხელისუფლების, კერძოდ საბჭოთა საქართველოს აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლოგიკური დასკვნაა, ბუნებრივი და აუცილებელი!

აქ გასაკვირი არაფერია. საქართველოს ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის მონაწილენი, ნაციონალ-უკლონიზმის ქართული შოვინიზმის მედროშენი, იმთავითვე იდგნენ ქართული კონტრრევოლუციის პოზიციებზე, დაკავშირებული, დამმობილებული იყვნენ მენშევიკებთან, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან და იბრძოდნენ ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის წინააღმდეგ, სოციალიზმის წინააღმდეგ.

ამხანაგი ლავრენტი ბერია ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში თავის შესანიშნავ წერილში „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“ სწერდა:

„არ შეიძლება ფიქრი, რომ, ვამხილეთ რა მთელი რიგი კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები, ჩვენ უკვე გამოვამჟღავნეთ და იზოლაცია ვუყავით ყველა ამ გარეწარსა და არამზადას. პარტიაში ჯერ კიდევ დარჩნენ კონსპირირებული მიმალული მოსისხლე მტრები, ჯერ კიდევ ყველა თვალთმაქცი როდია გამომჟღავნებული. ჯერ კიდევ კარგად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ აშმორებული ტროცკისტულ-ზინოვიევური იატაკქვეშეთიდან მზის სინათლეზე გამოვათრიოთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმალული მტრები“.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხანაგ ბერიას ეს რევოლუციური სიფხიზლით გამსჭვალული სიტყვები სავსებით დაადასტურეს შენიღბული კონტრრევოლუციონერ ტროცკისტების გამოაშკარავების ფაქტებმა. ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე, პ. აღნიაშვილი, მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, ზ. კვირკველია, ლ. ლოლობერიძე, ნ. კიკნაძე, ს. ჩიხლაძე, კ. მოდებაძე, ვ. ჯიქია და სხვები — აი ის არამზადები, ჯაშუშები, დივერსანტები, სისხლიანი ფაშიზმის ერთგული ქოფაკები, რომლებიც გამოაშკარავებულ იქნენ უკანასკნელ ხანებში, რომლებსაც აეგლიჯათ ნიღაბი.

სისხლიანი ტროცკიზმის ეს ნაბოლარები იყვნენ სწორედ ქართული ნაციონალ უკლონიზმის მებაირაღტრენი.

ნაციონალ-უკლონისტები იყვნენ ის გარეწრები, რომელნიც გამოხატავდნენ ქართველ თავად-აზნაურებისა და კულაკების კლასობრივ ინტერესებს, ცდილობდნენ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხთა შორის სისხლისმღვრელ შეტაკებათა მოწყობას, საბჭოთა რესპუბლიკების მთლიანი ინტერნაციონალური ფრონტის ძირის გამოთხრას, მენშევიკთა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა რეაქციული ძალების ხელფეხის გახსნას, მოკლეთ — იბრძოდნენ იმპერიალისტური ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

და ახლა, როდესაც ეს ადამიანები ბუნებრივად აღმოჩნდნენ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ არამზადათა ხროვაში, მათ ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენეს თავიანთი მახინჯი შიშველი სახე, თავიანთი საზიზღარი „საქმიანობა“: კონტრრევოლუციური ბრძოლა ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ტერორის მოწყობა დიდი სტალინისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლების, რევოლუციური ბრძოლებში გამობრძმედილი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით განმტკიცდნენ და აყვავდნენ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები, კერძოთ — ორდენოსანი საბჭოთა საქართველო.

საბჭოთა კავშირის მრავალერიანი ხალხი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ლენინიზმის კაშკაშა ჩირაღდნით ინათებს გზას კომუნიზმისაკენ. და ამ დიად გზაზე ყველა ჯურის მტრებთან გმირულ ბრძოლაში იგი აღწევს მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობის ახალ-ახალ გამარჯვებას. მაგრამ კლასობრივი მტერი არ ჰყრის იარაღს, ის ცდილობს სისხლიან ფაშისტებს ბითუმად და ცალობით მიჰყიდოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალი.

დიახ, როდესაც მტერი არ ნებდება, ის უნდა მოისპოს და აღიგავოს პირისაგან საბჭოთა დედამიწისა!

ასეთია საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი გადაწყვეტილება. და ხალხმაც გამოიტანა თავისი განაჩენი:

— სიკვდილი ჯაშუშებს, დივერსანტებს, ხალხის სისხლით მოვაჭრეებს, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ფაშისტ არამზადებს!

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

სრულიად საქართველოს საბჭოების მე-8 ყრილობის მე-3 სხდომის მოწვევის ვადის შესახებ

სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

სრულიად-საქართველოს საბჭოების VIII ყრილობის მე-3 სხდომა მოწვეულ იქნეს 1937 წ. 10 თებერვალს ქ. თბილისში საღამოს 6 საათზე რუსთაველის სახელ. თეატრის შენობაში.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი.

მომხს. ამხ. ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—თ. ჟღენტი.

1937 წ. 29 იანვარს.
ქ. თბილისი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხ. ლ. ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

უსაზღვრო აღშფოთების გრძნობამ მოიცვა საქართველოს საბჭოთა მწერლების მთელი კოლექტივი, საბჭოთა სასამართლოს წინაშე გაშიშვლებულად წარმდგარი ფაშიზმის სისხლიანი აგენტების, გაცოფებული ბანდიტების და დივერსანტების უსაზიზღრეს მოღალატურ ბოროტმოქმედებათა გამო.

ჩვენი დიდი სამშობლოს გმირმა ხალხმა, ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით, მთელი მშრომელი კაცობრიობის უსაყვარლესი მასწავლებლის და გენიალური ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით ააგო სოციალიზმის გიგანტური შენობა — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენ მიწა-წყალზე ხორცშესხმულ რეალობად იქცა სოციალისტური დემოკრატიზმი, შრომის სუფევის, პიროვნების თავისუფლების და ეროვნებათა თანასწორობის უმაღლესი იდეალები. სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტებში და ვრცელ საკოლმეურნეო მინდვრებში გაშლილმა სახელისა და გმირობის საქმედ ქცეულმა შრომამ, საბჭოთა ხალხს საბოლოოდ დაუმკვიდრა ბედნიერი ცხოვრება.

ხალხთა სტალინური მეგობრობის მზის ცხოველმყოფელ სხივებზე აყვავდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ ჩვენს სამშობლოში მცხოვრებ ყველა ხალხთა ნაციონალური კულტურა, მწერლობა—ხელოვნება.

საბჭოთა ხალხმა გამოსჭედა სოციალისტური დემოკრატიის უკვდავი ხარტია—დიადი სტალინური კონსტიტუცია, რომლის ყოველ სიტყვაში მთელი სიღრმით არის აღბეჭდილი ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილება, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება.

უსაზღვროა ბედნიერი და უძლეველი საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი, რომელმაც გენიალური ხუროთმოძღვრის ოსტატობით ააშენა სოციალიზმის მიუვალი ციხე-სიმაგრე. მას მტკიცე და შეურყეველი ნაბიჯით მიჰყავს საბჭოეთის დიდი ქვეყანა კომუნიზმისაკენ.

სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ძლევამოსილებით გაცოფებულნი, იუდა ტროცკის—ხალხისაგან უსაზღვროდ შეზიზღებულნი და განკიცხულნი კონტრრევოლუციური ხროვა, დაადგა სისხლიანი ტერორის, ჯაშუშობის, მავნებლობის და ღალატის უსაზიზღრეს გზას.

ტროცკი—გესტაპოს ავაზაკური აგენტურა თავისი შავბნელი ზრახვების განსახორციელებლად არ ერიდება არავითარ ბოროტმოქმედებას. ისინი ღვრიან მუშებისა და კოლმეურნეთა სისხლს, ისინი მზად არიან მიჰყიდონ ჩვენი ბედნიერი სამშობლოს მიწა-წყალი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და თავიანთი სისხლიანი ხელები აღმართონ ჩვენი ხალხის უსაყვარლესი ბელადისა და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის ერთსულოვანმა რისხვამ გაალცამტვერა ზინოვიევ-კამენევის ბანდა, რომელმაც მუხანათურად მოუკლა საბჭოთა ხალხს საუკეთესო შვილი — პროლეტარული რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი სერგეი კიროვი.

დღეს კი საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე წარმდგარია უვერაგეს ბოროტმოქმედებაზე დაჭერილი სისხლიანი დივერსანტებისა და მავნებლების, კაპიტალიზმის რესტავრატორების ხროვა—პიატაკოვის, რადეკის, სერებრიაკოვის, სოკოლნიკოვის და სხვათა სახით.

უსაზღვროა მათი დანაშაული საბჭოთა ხალხის, ჩვენი დიდი სამშობლოს წინაშე და ასევე უსაზღვროა ჩვენი ხალხის რისხვა, ზიზღი მათ მიმართ.

პროცესის მასალებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ხალხის მტრებსა და ჯალათების ამ გარეწართა ხროვაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ქართველ ნაძირალებსაც, ხალხის მოსისხლე მტრისა და გაუსწორებელი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტის ბუდუ მდივანის მეთაურობით.

ხალხისადმი მტრობით გაბოროტებულ ადამიანთა ეს გახრწნილი ბანდა ცდილობდა სასიკვდილო მახვილი ეღმართა ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემომქმედის — დიდი სტალინის და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ, და მათ შორის ისინი სასიკვდილოთ გიმიზნებდნენ თქვენც, ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის სახელოვან ხელმძღვანელს, დიდი სტალინის უერთგულეს და გამობრძმედილ მოწაფეს, ქართული საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების დაუღალავ მომამაგეს.

ხუთ წელიწადზე მეტია, რაც თქვენ ამხანაგო, ლავრენტი სათავეში ჩაუდექით საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ შტაბს და ეს ხუთი წელი წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის უდიდეს ისტორიულ წარმატებათა და გამარჯვებათა ბრწყინვალე პერიოდს — სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე.

დიდი სტალინის მითითებათა ურყევი განხორციელებით, საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობაში მუშაობის სტალინური სტილის დანერგვით, ფართო ბოლშევიკური ინიციატივით და დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიით, თქვენ კომუნიზმისათვის საბრძოლველად დარაზმეთ საქართველოს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა არმია და ჩვენი რესპუბლიკა გამოიყვანეთ საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა პირველ რიგში.

თქვენ სახელთან ამხანაგო ლავრენტი, მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მშრომელი ხალხის ყველა ის სამეურნეო და კულტურული წარმატებანი, რომელთა მეოხებითაც ჩვენმა რესპუბლიკამ დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი.

თქვენი შეუნელებელი [illegible]ბითა და მზრუნველობის მეოხებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია.

არასოდეს ქართულ მწერლობას, თეატრს, მხატვრობას და მუსიკალურ ხელოვნებას არ ჰქონია ისე ფართო რეზონანსი, არ უსარგებლია ისეთი დიდი პოპულარობით საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მასებში, როგორც დღეს.

აი, რატომ ამაყობს საქართველოს მუშათა კლასი, მისი საკოლმეურნეო გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის გამობრძმედილი ხელმძღვანელის სახელით. აი რატომ არის აღვსილი ყოველი პატიოსანი მშრომელის გული შენდამი მადლობის და სიყვარულის მგზნებარე გრძნობით.

უმწეოა გველური გესლით გაჟღენთილი კონტრრევოლუციური არამზადების მუხანათური განზრახვა ხელი აღმართონ თავისუფალი და ბედნიერი საბჭოთა ხალხის უსაყვარლესი ბელადის, და მის სახელოვან თანამებრძოლთა წინააღმდეგ, რომელთა რკინის კოჰორტაშიც დამსახურებულად სდგეხართ თქვენ, ამხანაგო ლავრენტი.

საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ხალხთა დიდი ბელადის და მისი სახელოვანი თანამებრძოლებისადმი არის რკინის კედელი, რომელსაც ვერ გასჭრის ვერავითარი მტრის ტყვია და რომელზედაც განმანადგურებლად დაიმსხვრევა ტროცკი—გესტაპოს სისხლიანი აგენტების შავბნელი ზრახვები.

ჩვენ საქართველოს საბჭოთა მწერლები სიტყვას გაძლევთ ამხანაგო ლავრენტი, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, კიდევ უფრო მეტად შევმჭიდროვდებით ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ და მთელ ნიჭს და ენერგიას, მთელ ჩვენს სიცოცხლეს დაუღალავად მოვახმართ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავების საქმეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების მახვილ თვალს ვერ დაემალება ხალხის ვერც ერთი მოღალატე—ქვეწარმავალი.

ჩვენ მოვითხოვთ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა ჩვენი სამშობლოს მოღალატეთა ბანდის ყოველი მონაწილე.

წყევლა და ზიზღი მათს სისხლით შესვრილ სახელს.

გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევამოსილების ორგანიზატორს, ხალხთა უსაყვარლეს ბელადს, მასწავლებელს, დიად სტალინს!

გაუმარჯოს გამობრძმედილ სტალინელს — ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი ბერიას!

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი.

ამხ. გულია

(ლიტერატურულ - საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო)

აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი

ამხ. დ. ი. გულია დაიბადა 1874 წლის 7 ივნისს (ახ. სტ.) აფხაზეთის ყოფ. გუმისტის მაზრის სოფ. უარჩის აფხაზი გლეხის ოჯახში.

პატარაობიდანვე დ. ი. გულიამ, აფხაზ ხალხთან ერთად თავის თავზე გამოსცადა მთელი საშინელება ნაციონალური ჩაგვრისა და უუფლებობისა, რაც მეფის რუსეთში ხვედრი იყო ყველა მცირე ერისა, მათი საუკეთესო შვილებისა.

დ. ი. გულიას მამამ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს მიატოვა თავისი სოფელი, გაიქცა მრავალ სხვა აფხაზთან ერთად თურქეთს, მაგრამ მალე (1878 წ.) დაბრუნდა უკან აფხაზეთს. მეფის მოხელეებმა დასასჯელად, რუსეთის მიტოვებისათვის, არ მისცეს ნება დარჩენილიყო სამშობლო სოფელში და იგი ოჯახითურთ გადასახლდა სოფ. აძიუბჟას (ყოფ. კოდორის მაზრა).

1883 წელს 9 წლის დ. გულია პირველად გაეცნო ქართულ ანბანს. მან მალე შეითვისა მხედრული და ხუცური ანბანი. 12 წლისა შევიდა სოხუმის მაშინდელ ერთადერთ ორკლასიან საქალაქო სკოლაში. ამ სკოლის დასრულების შემდეგ (1889 წ.) ის ცოტა ხანს დადიოდა გორის საოსტატო სემინარიაში, რომლის დამთავრებაც ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა. გორში დ. ი. გულია შემთხვევით გაეცნო აფხაზურ ანბანის წიგნებს: პ. კ. უსლარისას 1860 წელს გამოცემულს და ბარტოლომეისას, რომელიც გამოშვებული იყო ორი წლით გვიან. ამ ანბანის წიგნებში აღმოჩენილმა ნაკლოვანებებმა და შეცდომებმა დ. ი. გულიას აფიქრებინეს ანბანის შედგენა აფხაზეთის სკოლებისათვის. ეს სამუშაო მან შეასრულა კ. მაჭავარიანთან ერთად 1891 წელს, როდესაც ისინი სოხუმში იყვნენ. მათი საერთო ნაშრომი „აფხაზური ანბანი“ არსებითად პირველი წიგნი იყო, რომლითაც აფხაზებმა დაიწყეს დედაენის სწავლა.

1905 წლიდან გულია პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იწყებს ლექსების წერას და საამისოდ იყენებს უმდიდრეს აფხაზურ ხალხურ შემოქმედებას, აგრეთვე ქართული და რუსული ლიტერატურის ცოდნას. მისი ლექსების პირველი კრებული გამოვიდა თბილისში 1910 წელს.

დ. ი. გულიას პოეტურ ნაწარმოებებში ასახულია მძიმე ხვედრი აფხაზი გლეხისა, რომელიც იტანჯებოდა ორმაგი უღლის ქვეშ — მეფის სატრაპთა და საკუთარ თავად-აზნაურთა უღლის ქვეშ. მისი ლექსები „ხოჯანდუ“, „მტაცებელი“, „უცხო ცის ქვეშ“, „ჩემი სამშობლო“ და სხვ. მწვავე პოლიტიკური ხასიათისაა. თითქმის ყოველი აფხაზის ოჯახში იციან ზეპირად დ. ი. გულიას საუკეთესო ლექსები.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც დაამსხვრია მონობისა და უკულტურობის ბორკილები, ფართოდ გაუღო ბედნიერების კარი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, თავის საუკეთესო შვილებს, მათ შორის აფხაზი ხალხის სახელოვან შვილს დ. ი. გულიასაც.

შემთხვევითი როდია, რომ დ. ი. გულიას ყველა ძირითადი ნაშრომი, რომლებმაც მას მწერლის, დრამატურგის, ისტორიკოსის, ფილოლოგის მაღალი სახელი მოუპოვეს, დაწერილია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აფხაზეთის ფარგლებს იქით არის ცნობილი მისი შრომები: „აფხაზეთის ისტორია“, „აფხაზური ლიტერატურის ისტორია“, „კამაჩიჩი“ — რომანი აფხაზური ცხოვრებიდან, „ნადირობის ღმერთები და მონადირეთა ენა აფხაზეთში“, „აფხაზური გრამატიკის მასალები“, ლექსთა კრებული, ლექსები ხალხთა ბელად დიდ სტალინზე და სხვ.

დ. ი. გულიას სამართლიანად უწოდებენ „აფხაზური მხატვრული ლიტერატურის პაპას“.

დ. გულიას ლიტერატურული ენა მუსიკალური და კეთილხმოვანია.

პირველი აფხაზი მწერლის, დრამატურგის, ისტორიკოსის, სახალხო მასწავლებლის, აფხაზური დამწერლობის ფუძემდებლისა, აფხაზური თეატრის შემქმნელის დ. ი. გულიას შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილე ნამდვილი საერთო-სახალხო დღესასწაულია საბჭოთა აფხაზეთისათვის. (საქდესი).

◆

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხ. ლ. ბერიას

საქართველოს კ.პ.(ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მე-16 პლენუმი, რომელმაც განიხილა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა პარტიის რიგებში ახალ წევრთა მიღების დარგში, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნის შენ, ბრძოლებში გამობრძმედილ ხელმძღვანელს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებისა, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგულ შვილს.

შენი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები გადაიქცნენ საქ. კ.პ.(ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ურყევ დასაყრდენად.

განუხრელად ვანხორციელებთ რა ჩვენი ბელადის, დიდი სტალინის მითითებას საქ. კ.პ.(ბ)-ში მიღების განახლების საკითხზე, მთელს ჩვენს ბოლშევიკურ ყურადღებას ვაქცევთ შინაპარტიულ მუშაობის განმტკიცებას და კომუნისტთა იდეურ შეიარაღებას.

ვიბრძვით რა ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლის ყოველნაირად ამაღლებისათვის, ჩვენ არ დავუშვებთ პარტიის რიგებში უცხო და მტრულ ელემენტთა შემოპარვას.

კონტრრევოლუციონერ ტროცკისტთა გასამართლებამ, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ეს ტერორისტი ბანდიტები იუდა ტროცკის მეთაურობით არიან სამშობლოს საზიზღარი გამცემნი და მოღალატენი, ჯაშუშები, დივერსანტები და მავნებლები, რომლებიც გერმანიისა და იაპონიის იმპერიალისტურ ფაშისტურ მთავრობებთან ერთად ომს ამზადებდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და კაპიტალისტური წყობილების აღსადგენად.

ახლა, ყველაზე ჩამორჩენილისთვისაც კი ცხადი, გახდა, რომ ტროცკისტები — არიან ფაშისტები, ომის გამჩაღებელნი, მშრომელთა სისხლიანი მკვლელნი.

მემარჯვენე კონტრრევოლუციონერებთან დაკავშირებულმა ამ ავაზაკებმა მოჰკლეს პარტიისა და ხალხის საყვარელი შვილი—სერგეი მირონის-ძე კიროვი, ისინი ხელყოფას ამზადებდნენ სსრ კავშირის ხალხთა და კაცობრიობის მშრომელთა გენიალური ბელადის—დიდი სტალინის სიცოცხლის წინააღმდეგ და მის უახლოეს თანამებრძოლთა სიცოცხლის წინააღმდეგ.

ამ ბანდებმა საქართველოში მოაწყვეს კონტრრევოლუციური ტროცკისტული ცენტრი, რომელშიაც შედიოდნენ უკლონისტები — ტროცკისტები — ბუდუ მდივანი, მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, ნ. კიკნაძე, ს. ჩიხლაძე, მ. ტოროშელიძე და სხვ., რომლებმაც ბლოკი შეკრეს მენშევიკებთან და სხვა ანტისაბჭოთა, შოვინისტურ ელემენტებთან, დასდვეს რა მათთან ხელშეკრულება, რომ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება, საქართველო მოეწყვიტათ სსრ კავშირისგან და იგი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიად გადაექციათ.

დაადგნენ რა გაუგონარი გამცემლობის გზას, ფაშისტურ კონტრდაზვერვათა ამ აგენტებმა შექმნეს ტერორისტული ჯგუფები, ამზადებდნენ ქართველი ხალხის საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას მოკვლას. ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ ჯგუფებს, რომ განეხორციელებინათ სისხლიანი განზრახვები, რაც გამომჟღავნდა ტროცკისტული ცენტრის სასამართლო პროცესზე მოსკოვში.

ხალხის მოღალატენი და მტრები გამოაშკარავებული და პასუხისგებაში მიცემული არიან.

სტალინის რაიონის მუშები, მოსამსახურენი და ყველა მშრომელნი მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე, მრისხანებით აღსავსენი, თავის სიძულვილს უცხადებენ სამშობლოს ამ გამცემთ, ქართველი ხალხის მოღალატეთ.

ბ. მდივნის, მ. ოკუჯავას, ს. ქავთარაძის, მ. ტოროშელიძის, ს. ჩიხლაძის, ნ. კიკნაძის, ლ. ლოლობერიძის, პ. აღნიაშვილის, კ. მოდებაძის, ვ. ჯიქიას, ზ. კვირკველიას სახელებს წყევა-კრულვით მოიხსენიებენ საქართველოს ყველა სოფელსა და ქალაქში.

პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები და ყველა მშრომელნი ერთსულოვნად მოითხოვენ ამ კონტრრევოლუციური ტროცკისტული ბანდის განადგურებას და მოსპობას.

დაე საბჭოთა ხალხის მსჯავრი რევოლუციური კანონის მთელი სისასტიკით თავს დაატყდეს ამ გამცემთ.

გამოხატავს რა სტალინის რაიონის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ურყევ ნებისყოფას, რაიკომის პლენუმი სიტყვას გაძლევს შენ, ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი, რომ უფრო მტკიცედ შევმჭიდროვდებით საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ბელადის დიდი სტალინის გარშემო, და შენი მებრძოლი ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, უფრო მეტად ულმობელი ვიქნებით ხალხის მტრების სულ მცირე ხრიკების მიმართაც კი.

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს—დიდ სტალინს.

გაუმარჯოს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს, ჩვენს საყვარელ ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

„მე არასოდეს გამიგონია ღალატზე, მკვლელობებზე, ჯაშუშობაზე ასეთი თხრობა“

ლონდონი, 28 იანვარი (საქდესი). „დეილი ჰერალდ“ აქვეყნებს ინგლისელი იურისტის კოლარდის განცხადებას, რომელიც ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესს ესწრება. კოლარდი აღნიშნავს, რომ იგი ხუთ დღეს ისვდიდა, ვიდრე განცხადებით გამოვიდოდა, ვინაიდან სურდა ჩასწვდომოდა თავის დაკვირვებებს და გამოერკვია ფაქტები. მისი სიტყვით, იგი თვალყურსადევნებს პროცესს უფრო მეტად უფლებრივი მხრივ, ვიდრე პოლიტიკური თვალსაზრისით. როდესაც ბრალდებულნი პირველად სასამართლოს დარბაზში შემოიყვანეს, — აღნიშნავს კოლარდი, — მე მათდამი სიმპატია ვიგრძენი. „ახლა, — განაგრძობს იგი, — მას შემდეგ, რაც 4 დღის განმავლობაში ვუსმენდი ბრალდებულთა დაკითხვას, რომლებმაც ყველამ თავი დამნაშავედ აღიარეს უყოყმანოდ, მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ დარწმუნებული ვარ მათ დანაშაულობაში მე არასოდეს გამიგონია ღალატზე, მკვლელობაზე, ჯაშუშობაზე, მავნებლობასა და ტერორზე ასეთი თხრობა, როგორც ამას სჩადიან ბრალდებულები სრული უსულგულობითა და უტიფრობით. ყველასათვის ნათელია, რომ ბრალდებულები, რომლებიც ყველაზე მეტს ლაპარაკობენ იმ დროს, როცა ვიშინსკი მხოლოდ დროგამოშვებით მიცემული შეკითხვებით კმაყოფილდება, ამას წინასწარ მოფიქრებულად არ სჩადიან. მათ აშკარად შენარჩუნებული აქვთ მთელი თავიანთი უნარი, არ სტოვებენ ტერორიზებულ ადამიანთა შთაბეჭდილებას და კარგად გამოიყურებიან. არაფერი არ უშლის ხელს თვითეულ მათგანს გამოაცხადოს, რომ ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება. რადეკმა იცის, რომ პროცესს უცხოელი ჟურნალისტები ესწრებიან. საეჭვოა, რომ ბრალდებულებზე გავლენა მოეხდინოს რაიმე დაპირებას დანაშაულის აღიარების სამაგიეროდ ლმობიერების შესახებ, რადგან წინანდელ პროცესზე ბრალდებულებს სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯათ. პროცესი ღიად სწარმოებს და სამართალწარმოება სწორია“.

კოლარდი აღნიშნავს, რომ ყოველ ქვეყანაში ალბათ აუცილებელი იქნებოდა, იმ საკითხების დახურულ კარებში გარჩევა, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოებასთან და უცხოელ დიპლომატებთან. „ინგლისში, — განაგრძობს კოლარდი, — როდესაც ბრალდებული თავის დანაშაულს აღიარებს, სასამართლო კმაყოფილდება პროკურორის მოკლე განცხადებით. მაგრამ საბჭოთა კავშირში შემოღებულია გამოიწვიონ მოწმეები და დეტალურად დაჰკითხონ ბრალდებულთ“.

იძლევა რა ბრალდებულთა დახასიათებას, კოლარდი სწერს, რომ პიატაკოვი — ეს აშკარად მეთაურია, რადეკი — პოზიორი, ხოლო შესტოვი — ნამდვილი ბანდიტი. მრავალი დანაშაული, რომლებიც ბრალდებულებს ედებათ, ინგლისში სიკვდილით ისჯება. ვიშინსკი ბრალდებულებს განსაცვიფრებელი თავშეკავებითა და თავაზიანობით ეპყრობა.

გენერალ მიახას განცხადება

პარიზი, 28 იანვარი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტოს მადრიდიდან ატყობინებენ, მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა მიახამ გააკეთა შემდეგი განცხადება:

„წინა ღამის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგესთან რამდენიმე ხელჩართული შეტაკების შედეგად თითქმის მთლიანად დაიკავა დასავლეთის პარკი“.

ინგლისის ნოტა სახელმწიფოებს

ლონდონი, 28 იანვარი (საქდესი). ინგლისის მთავრობამ თავისი ელჩების მეშვეობით პარიზში, რომში, ბერლინში, მოსკოვსა და ლისაბონში აცნობა სათანადო მთავრობებს თავისი შენიშვნები იმ პასუხის გამო, რომელიც სხვადასხვა მთავრობებმა გასცეს ინგლისის წინადადებას ესპანეთში მოხალისეთა გაგზავნის აკრძალვის შესახებ. ინგლისის მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს: წინააღმდეგობა არ გამოუწვევია წინადადებას იმის შესახებ, რომ მიმართონ ჩაურევლობის საქმეთა ლონდონის კომიტეტს თხოვნით, რათა დააწესოს ამკრძალავ ღონისძიებათა ძალაში ერთსადაიმავე დროს შესვლის თარიღი. გერმანიის და იტალიის მთავრობებს ინგლისის მთავრობა მიუთითებს, რომ წინადადება, რათა ესპანეთის ტერიტორიიდან გაძევებულ იქნას ყველა მებრძოლი არაესპანელი, წარმოადგენს ისეთ საკითხს, რომელიც უნდა განიხილოს ჩაურევლობის საქმეთა ლონდონის კომიტეტმა.

სააგენტოს სიტყვით, ინგლისის მთავრობის ნოტა თუმცა არ შეიცავს არავითარ ახალ წინადადებებს მოხალისეთა გაგზავნის აკრძალვის შესახებ, მაგრამ მოწმობს, რომ ინგლისის მთავრობას სურს რაც შეიძლება მალე განახორციელოს ეს ამკრძალავი ღონისძიებანი.

მთავრობის კრიზისი იაპონიაში

ტოკიო, 28 იანვარი (საქდესი). სიაკაია ტაისიუტოს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 27 იანვარს გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც დღეს თითქმის ყველა გაზეთმა მოიყვანა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ თუმცა უგაკის უკვე რამდენიმე დღის წინათ დაევალა ახალი კაბინეტის შექმნა, იგი როგორც სჩანს, ამ საქმეში დიდ სიძნელეებს განიცდის — „და ქვეყანა მოკლებულია საშუალებას გაიგოს, თუ როგორია საქმეთა ნამდვილი მდგომარეობა“. ამიტომ უგაკიმ უნდა „გამოაცხადოს, თუ რა პოლიტიკის საფუძველზე აპირებს იგი კაბინეტის შექმნას. ხოლო არმიამ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი პროგრამა, რომელსაც იგი იცავს, რათა მდგომარეობაში შეტანილ იქნას გარკვეულობა და ნათელი გახდეს, თუ რა აფერხებს ამ საქმეს“.

ფაშისტური ორგანიზაციები განაგრძობენ აგიტაციას უგაკის მთავრობის შექმნის წინააღმდეგ.

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის—სსრ კავშირის პროკურორის

ამ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

ამ პროცესის თავისებურებანი

ამხანაგო მოსამართლენო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაეს სასამართლოს წევრნო! ვიწყებ რა ამ საქმის გამო ჩემი უკანასკნელი მოვალეობის შესრულებას, არ შემიძლია არ შევჩერდე ამ სასამართლო პროცესის ზოგიერთ თავისებურებებზე.

ეს თავისებურებანი, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობენ, რომ ეს სასამართლო პროცესი ერთგვარად აჯამებს ტროცკისტ შეთქმულთა დანაშაულებრივი მუშაობის შედეგს, საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგს; იმ ადამიანებისა, რომლებმაც ბრძოლა ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში დაიწყეს, იმ ადამიანებისა, რომლებიც ლენინის დროს იბრძოდნენ ლენინის წინააღმდეგ, ლენინის შემდეგ — მისი გენიალური მოწაფის, ლენინის ანდერძის ერთგული დამცველისა და მისი საქმის განმგრძობის—სტალინის წინააღმდეგ.

ამ პროცესმა პროჟექტორის სხივით გააშუქა ტროცკისტული იატაკქვეშეთის ყველაზე იდუმალი კუნჭულები, საიდუმლო ხვეულები, საზიზღარი კუთხეები.

ამ პროცესმა დაგვანახვა და დაამტკიცა, თუ რა ხეპრული ჯიუტობით, რა გველური გულცივობით, პროფესიულ ბოროტმოქმედთა რა ანგარიშიანობით ეწეოდნენ და ეწევიან ტროცკისტი ბანდიტები თავიანთ ბრძოლას სსრ კავშირის წინააღმდეგ და არაფრის წინაშე არ იხევენ უკან — არც მავნებლობის წინაშე, არც დივერსიების წინაშე, არც შპიონაჟის წინაშე, არც ტერორის წინაშე, არც სამშობლოს ღალატის წინაშე.

ამ პროცესმა, სადაც თვით ბრალდებულებმა აღიარეს თავიანთი დანაშაული; ამ პროცესმა, სადაც ეგრეთწოდებული „პარალელური" ტროცკისტული ცენტრის ხელმძღვანელთა — ბრალდებულების პიატაკოვის, სოკოლნიკოვის, რადეკის, სერებრიაკოვის გვერდით იმავე საბრალდებლო სკამზე სხედან ისეთი შესამჩნევი ტროცკისტები, როგორიც არიან მურალოვი, დრობნისი, ბოგუსლავსკი, ლივშიცი; სადაც ამ ტროცკისტთა გვერდით სხედან უბრალო ჯაშუშები და მზვერავები — რატაიჩაკი, შესტოვი, სტროილოვი, გრაშე — ამ პროცესმა დაგვანახვა, თუ რამდენად დაეცნენ ეს ვაჟბატონები, თუ რა წუმპეში ჩაეფლო სამუდამოდ და საბოლოოდ კონტრრევოლუციური ტროცკიზმი, რომელიც უკვე დიდი ხანია გადაიქცა საერთაშორისო ფაშიზმის მოწინავე და უპრინციპო რაზმად.

ამ პროცესმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა, თუ ვის ემსახურებიან ტროცკი და მისი დამქაშები, თუ რას წარმოადგენს ტროცკიზმი სინამდვილეში, პრაქტიკაში.

აქ, ამ დარბაზში სასამართლოს წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე, მთელი მსოფლიოს წინაშე გაიარა ამ ადამიანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მთელმა წყებამ.

ვისთვის არის სასარგებლო მათი დანაშაულობანი? რა მიზნის გულისათვის, რა იდეების გულისათვის, ბოლოს, რა პოლიტიკური პლატფორმისა ან პროგრამის გულისათვის მოქმედებდნენ ეს ადამიანები? რისი გულისათვის? და, ბოლოს, რატომ გახდნენ ისინი სამშობლოს გამცემელნი — სოციალიზმის საქმისა და საერთაშორისო პროლეტარიატის მოღალატენი?

ჩემი შეხედულებით, ამ პროცესმა ამომწურავი სისრულით გასცა პასუხი ყველა ამ კითხვაზე, გასცა პასუხი ნათლად და ზუსტად, თუ რისთვის და როგორ მივიდნენ ისინი ამნაირ ცხოვრებამდე.

თვით ბრალდებულნი მოგვითხრობდნენ, თუ ვის ემსახურებოდნენ ისინი. მაგრამ ამას კიდევ უფრო მჭერმეტყველურად მოწმობენ მათი საკუთარი საქმეები, მათი ბინძური, სისხლიანი, დანაშაულებრივი საქმეები.

მრავალი წლის წინათ, ჩვენმა პარტიამ, მუშათა კლასმა, მთელმა ჩვენმა ხალხმა უკუაგდეს ტროცკისტულ-ზინოვიევური პლატფორმა, როგორც ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური პლატფორმა. ჩვენმა ხალხმა ტროცკი განდევნა ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან, მისი ხელშემწყობნი გააძევეს პარტიის რიგებიდან, როგორც მუშათა კლასის საქმისა და სოციალიზმის მოღალატენი. ტროცკი და ზინოვიევი განადგურებულნი იქნენ, მაგრამ ისინი არ დამწყნარებულან, არ დაუყრიათ იარაღი.

ტროცკისტები არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ, ჩამოიფარეს რა მონანიებულ და ითომდა განიარაღებულ ადამიანთა ნიღაბი. ასრულებდნენ რა ტროცკის, პიატაკოვის და ბოროტმოქმედთა ამ ბანდის სხვა ხელმძღვანელთა მითითებებს, აწარმოებდნენ რა თვალთმაქცურ პოლიტიკას, შენიღბვას, ისინი კვლავ შეიპარნენ პარტიაში, კვლავ გაძვრნენ საბჭოთა სამუშაოზე; ზოგი მათგანი პასუხსაგებ სახელმწიფო პოსტებზედაც კი გაძვრა, მიჩქმალა არა ერთხანად, დრომდე, როგორც ეს ახლა თვალნათლივ დადასტურდა, თავისი ძველი ტროცკისტული ანტისაბჭოთა ტერორი თავიანთ კონსპირატიულ ბინებზე იარაღთან, შიფრებთან, პაროლებთან, კავშირ-ნაცნობობასთან და თავის კადრებთან ერთად.

ამ პროცესმა მოგვცა განსაკუთრებული დამამტკიცებელი ძალისმქონე მასალა, რომელმაც სავსებით დაადასტურა და საპროცესო-მტკიცებითი მხრივ და სრული მოცულობით დააზუსტა გამცემლური როლი ტროცკიზმისა, რომელიც სავსებით და უეჭველად გადავიდა მტერთა ბანაკში, გადაიქცა „სს" და გესტაპოს ერთერთ განყოფილებად.

ტროცკისტთა გზა, ტროცკიზმის გზა დამთავრებულია. თავისი სამარცხვინო და სამწუხარო ისტორიის მთელ მანძილზე ტროცკისტები ცდილობდნენ დაერტყათ და კიდეც ურტყამდნენ პროლეტარული რევოლუციისა და საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის ყველაზე გრძნობიარე და საშიშ ადგილებს.

ის დირექტივა, რომელზედაც აქ პიატაკოვი ლაპარაკობდა და რომელიც მან ტროცკისაგან მიიღო — „ყველაზე გრძნობიარე საშუალებებით დაარტყით ყველაზე გრძნობიარე ადგილებს" — ეს დირექტივა წარმოადგენს ძველ ტროცკისტულ გეზს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ტროცკისტთა განსაკუთრებული აქტიურობით, განსაკუთრებული გაბედულობით, დაჟინებით, შეუპოვრობით გამოირჩევა ის პერიოდი, რომელიც დაემთხვა სსრ კავშირში სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვებას. და ეს სავსებით ბუნებრივია. ეს გამარჯვება ჩვენ უდიდესი სიძნელეების გადაულახავად როდი მოგვეპოვებია. სიძნელეებმა და, კერძოდ, იმ სიძნელეებმა, რომლებსაც ჩვენ წავაწყდით ჩვენს გზაზე 1929—1931 წლების პერიოდში განსაკუთრებით სოფლად, ამ სიძნელეებმა ფრთები შეასხა ტროცკისტულ-ზინოვიევურ აფუსფუსებულ იატაკქვეშეთს, რომელმაც მოძრაობაში მოიყვანა თავისი ბრჭყალები და რომელიც ტროცკის მითითებით ცდილობდა დაერტყა ჩვენთვის ყველაზე გრძნობიარე ადგილას.

1932 წელს ტროცკისტები აძლიერებენ კონსოლიდაციას კონტრრევოლუციურ ანტისაბჭოთა ჯგუფებთან; ისინი აბამენ კავშირს მემარჯვენე ოპოზიციასთან პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლისათვის. ამ კავშირის ნამდვილი შინაარსი ამხანაგმა სტალინმა გამოამჟღავნა მე-16 და მე-17 პარტყრილობებზე, გვიჩვენა რა, რომ კონტრრევოლუციურ ტროცკისტებს და ზინოვიეველებს „უნიღბო კაპიტულანტებთან", როგორც მან სთქვა, აერთიანებს მისწრაფება სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ. მაშინ ამ პროგრამას ამხანაგმა სტალინმა უწოდა საზიზღარ მხდალთა და კაპიტულანტთა პროგრამა, სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენის კონტრრევოლუციური პროგრამა.

დღევანდელი დღის თვალსაზრისით განსაკუთრებით ნათელია, თუ რა უდიდესი ისტორიული საქმე გააკეთა ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც 1931 წელს გვიჩვენა ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ნამდვილი რაობა მისი „ახალი" თვისებით. ამხანაგი სტალინი წერილში ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციასადმი" სწერდა, რომ „ნამდვილად ტროცკიზმი არის მოწინავე რაზმი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა, რომელიც აწარმოებს ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ". ამხანაგმა სტალინმა დაჰგმო ტროცკიზმი, როგორც მოწინავე რაზმი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა, რომელმაც სწორედ ტროცკისტთა ხელით მიიღო სულიერი, ტაქტიკური და ორგანიზაციული იარაღი თავისი ბრძოლისათვის ბოლშევიზმთან, სოციალიზმის მშენებლობასთან.

ახლანდელი პროცესის ასპექტში, განსაკუთრებით ნათელია, თუ რა განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს ამ მითითებას.

ანტისაბჭოთა ფაშისტური ძალების ავანგარდის როლს ტროცკისტები შემთხვევით როდი თამაშობდნენ. ტროცკიზმის წასვლა ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთში, მისი გადაქცევა ფაშისტურ აგენტურად, — ეს მხოლოდ მისი ისტორიული განვითარების დამთავრებაა.

ტროცკისტული ჯგუფების გადაქცევამ უცხოეთის დაზვერვათა და აგრესორების გენერალურ შტაბთა მითითებით მომქმედი დივერსანტებისა და მკვლელების ჯგუფებად მხოლოდ დაამთავრა ტროცკიზმის ბრძოლა მუშათა კლასისა და პარტიის წინააღმდეგ, ბრძოლა ლენინისა და ლენინიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელიც ათეული წლობით გრძელდებოდა. ტროცკისტთა პოლიტიკური საქმიანობის მთელი ისტორია წარმოადგენს მუშათა კლასის საქმის, სოციალიზმის საქმის ღალატის მთლიან ჯაჭვს.

1904 წელს ტროცკი, როგორც ცნობილია, გამოვიდა უსაზიზღრესი ბროშურით, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები". ეს ბროშურა აღსავსე იყო ბინძური ინსინუაციებით ჩვენი დიდი მასწავლებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ლენინის წინააღმდეგ, ბოლშევიკური გამარჯვების, მშრომელთა გამარჯვების, სოციალიზმის გამარჯვების გზათა შესახებ ლენინის დიადი მოძღვრების წინააღმდეგ. ამ ბროშურაში ტროცკი შხამიან გესლს ანთხევს, ნერწყვავს მარქსიზმ - ლენინიზმის დიად იდეებს. იმ დროს, როდესაც ლენინი და სტალინი არჩევდნენ საუკეთესო ადამიანებს, ზრდიდნენ რა მათ თვითმპყრობელობასთან, ცარიზმთან, ბურჟუაზიასთან პოლიტიკურ ბრძოლებში და ჰქმნიდნენ მათგან ბოლშევიკური პარტიის ბირთვს, იუდუშკა ტროცკი ჰქმნიდა კაპიტალიზმის ლაქიების ერთიან ფრონტს პროლეტარიატის საქმის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1911-12 წელს ტროცკიმ მოაწყო აგრეთვე ბლოკი, ისე როგორც მან შემდეგ მოაწყო ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი, მოაწყო ეგრეთწოდებული „აგვისტოს ბლოკი" კაპიტალის მსახურთაგან, მენშევიკთაგან, ბოლშევიკური პარტიის რიგებიდან გაძევებულთაგან, უხერხემლო ინტელიგენტებისა და მუშათა მოძრაობის მეტხორცისაგან. ამ ბლოკის შესახებ სტალინი სწერდა: „ცნობილია, რომ ლიკვიდატორებისაგან შემდგარი ეს „პარტია" ისახავდა ბოლშევიკური პარტიის დანგრევის მიზნებს".

ლენინი სწერდა, რომ ეს ბლოკი „აგებულია უპრინციპობაზე, თვალთმაქცობასა და ლიტონ ფრაზაზე". ტროცკი და მისი დამქაშები უპასუხებდნენ აურაცხელი ბინძური ცილისწამებით, სახელს უტეხდნენ ლენინსა და ბოლშევიკებს, უწოდებდნენ მათ „ბარბაროსებს", „სექტანტდაუცხრომელ" აზიელებს.

1915 წელს ტროცკი გამოდის წინააღმდეგ ლენინური მოძღვრებისა სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, და, ამრიგად, ტროცკიმ უკვე 20-ზე მეტი წლის წინათ სავსებით მოახდინა კაპიტულაცია კაპიტალიზმის წინაშე.

ტროცკი რიგრიგობით ემსახურება ეკონომიზმს, მენშევიზმს, ლიკვიდატორობას, კაუცკელობას, სოციალ-დემოკრატიზმსა და ნაციონალ-შოვინიზმს ლენინის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ახლა იმპერიალიზმსა და ფაშიზმს ემსახურება სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

განა შემთხვევითია, რომ ტროცკისტები ბოლოსდაბოლოს გადაიქცნენ გადაგვარებულობისა და ტერორიზმის ბუდედ და გამაყუჩებლად, როგორც ამის შესახებ თავის დროზე ამბობდა ამხანაგი სტალინი? განა შემთხვევითია, რომ ტროცკი, აღმოჩნდა რა რევოლუციის შემდეგ ჩვენი პარტიის რიგებში, მოსწყდა, დაეშვა კონტრრევოლუციურ პოზიციებზე, გაგდებულ იქნა ჩვენი სახელმწიფოს ფარგლებიდან, საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან? განა შემთხვევითია, რომ ტროცკიზმი გადაიქცა კაპიტალისტური რესტავრაციის მოიერიშე რაზმად?

შემთხვევითი არ არის, იმიტომ რომ საქმე აქეთკენ მიდიოდა ტროცკიზმის წარმოშობიდანვე, შემთხვევითი არ არის, იმიტომ რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ტროცკი, და მისი მეგობრები იბრძოდნენ ლენინისა და ლენინის პარტიის წინააღმდეგ ისე, როგორც ახლა იბრძვიან სტალინისა და ლენინ-სტალინის პარტიის წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა. ტროცკიზმი მართლა გადაიქცა სოციალიზმის ყველა მტრული ძალის ცენტრალურ შემკრებ პუნქტად, უბრალო ბანდიტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა რაზმად, რომლებმაც თავისთავი მთლიანად უცხოეთის დაზვერვის განკარგულებაში მისცეს, საბოლოოდ და სამუდამოდ გადაიქცნენ კაპიტალიზმის ლაქიებად, კაპიტალიზმის რესტავრატორებად ჩვენს ქვეყანაში.

და აქ, სასამართლოში განსაკუთრებული სისრულით და სიცხადით გამომჟღავნებულ იქნა ტროცკიზმის სწორედ ეს საზიზღარი დედაარსი. ისინი თავიანთ სამარცხვინო დასასრულამდე მივიდნენ იმიტომ, რომ ათეული წლობით ამ გზით მიდიოდნენ, ქება-დიდებას ასხამდნენ კაპიტალიზმს, არ სწამდათ სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, სოციალიზმის გამარჯვება. აი ბოლოსდაბოლოს რატომ მივიდნენ ისინი კაპიტალისტური რესტავრაციის გაშლილ პროგრამამდე, აი რატომ მივიდნენ ისინი იქამდე, რომ დაიწყეს ჩვენი სამშობლოს გაცემა და გაყიდვა.

ჩვენი რევოლუციის სოციალისტური ხასიათის უარყოფა, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის უარყოფა განსაზღვრავდა და წინასწარ განსაზღვრავდა ტროცკისტების მტრულ პოზიციას საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი.

მაგრამ, ეს ხელს არ უშლიდა ტროცკისტებს ამოფარებოდნენ სოციალიზმის სახელს, როგორც ხელს არ უშლიდა და ხელს არ უშლის ამჟამად სოციალიზმის ბევრ მტერს ამოეფარონ ამ სახელს.

ასე ყოფილა მუდამ ისტორიაში. ცნობილია, რომ მენშევიკები და ესერები, სოციალიზმის ეს უბოროტესი მტრები, მუდამ ეფარებოდნენ სოციალიზმის სახელს. მაგრამ ეს ხომ ხელს არ უშლიდა მათ ფეხქვეშ გაგებოდნენ ბურჟუაზიას, მემამულეებს, თეთრ გენერლებს. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორ მოიწვიეს მენშევიკებმა პეტლიურულ რადაში ვილჰელმ მეორის ჯარები უკრაინაში, როგორ ვაჭრობდნენ ისინი უკრაინელი ხალხის თავისუფლებითა და ღირსებით;

თუ როგორ მოქმედებდნენ ჩაიკოვსკის ესერული მთავრობის ამრით არხანგელსკში ინტერვენტები;

თუ როგორ მოაქცია ეგრეთწოდებულმა დამფუძნებელი კრების კომიტეტის „სოციალისტურმა" მთავრობამ ძალაუფლების სათავეში კოლჩაკი, თუ როგორ სულითა და გულით ემსახურებოდა ნოე ჟორდანიას მენშევიკური მთავრობა უცხოელ ინტერვენტებს?

ტროცკი და ტროცკისტები მუდამ კაპიტალისტურ აგენტურას წარმოადგენდნენ მუშათა მოძრაობაში. ისინი ახლა გადაიქცნენ მოწინავე ფაშისტურ რაზმად, ფაშიზმის მოიერიშე ბატალიონად.

1926-27 წელს ისინი გადავიდნენ აშკარა ანტისაბჭოთა დანაშაულთა გზაზე, რაც უკვე სისხლის სამართლის წესით ისჯება. მათ ქუჩაში გადაიტანეს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდნენ ასე მოქცეულიყვნენ, თავისი ბრძოლა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

1926 წლის ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი იყო ბლოკი, რომელმაც თავისი ბრძოლის მთელი მახვილი მობრუნა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საქმის წინააღმდეგ, და კაპიტალიზმის სასარგებლოდ ეფარებოდა რა ყალბ, ზოგჯერ გარეგნულად „მემარცხენე" ფრაზებს „ზეინდუსტრიალიზაციაზე" და სხვ., ტროცკისტულ - ზინოვიევურმა ბანდამ 1926-27 წლებიდან წამოაყენა ისეთი წინადადება, რომელიც ძირს უთხრიდა და შლიდა მუშათა და გლეხთა კავშირს, ძირს უთხრიდა საბჭოთა სახელმწიფოს. იგი აყენებდა ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა, გაძლიერებული დაწოლა გლეხობაზე, როგორიცაა „პირვანდელი სოციალისტური დაგროვება" გლეხობის გაღატაკებისა და გაძარცვის ხარჯზე, იგი აყენებდა მთელ რიგ მოთხოვნებს, რომელთაც უნდა გამოეწვიათ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ჩაშლა და მით ჩაეშალათ ნამდვილი ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობა. ესეც დივერსიის განსაკუთრებული ფორმა, ძირგამომთხრელი აქტების ფორმა იყო, რომელნიც მიმართული იყვნენ პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური მშენებლობის საქმის წინააღმდეგ. მაშინდელი ოპოზიციის ეს წინადადებანი წარმოადგენდნენ მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებულ ფორმას, რაც მაშინდელ ისტორიულ ვითარებას შეესაბამებოდა. გავიდა 10 წელი, და ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი კვლავ ადგებიან პირდაპირი დივერსიების გზას, მავნებლობის გზას, ძირგამომთხრელი მუშაობის გზას. მაგრამ უკვე გაცილებით უფრო მწვავე ფორმებით, რომლებიც შეესაბამებიან ახალ პირობებს, — კაპიტალისტური ელემენტების ნაშთებთან გაფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებს.

ამხანაგო მოსამართლენო, როცა ახლა სასამართლოში ამ ბანდის მეთაურების, ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციის მეთაურების ჩვენებიდან გვესმის იმის აღიარება, რომ მათ ნამდვილად მიიღეს ტროცკისგან სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის გეზი, მიიღეს ეს გეზი და მისი განხორციელებისთვის აწარმოებდნენ მავნებლურ, დივერსიულ, დამზვერავ მუშაობას, — შეიძლება დაისვას კითხვა, — რომელიც ზოგიერთს კიდეც ებადება: როგორ შეიძლება იმ ადამიანებს, რომლებიც ამდენი წლის განმავლობაში იბრძოდნენ სოციალიზმისთვის, ადამიანებს, რომლებიც ურცხვად უწოდებდნენ თავს ბოლშევიკ-ლენინელებს,—როგორ შეიძლება წაუყენოთ მათ ბრალდება ამ საშინელ დანაშაულებებში? ხომ არ არის ეს იმის დამამტკიცებელი, რომ ბრალდება წაყენებულია უმართებულოდ, რომ ამ ადამიანებს ბრალი ედებათ იმაში, რაშიც არ შეიძლება ბრალი მიუძღოდეთ მათ მთელი თავისი წინანდელი სოციალისტური, რევოლუციური, ბოლშევიკური მოღვაწეობის არსობის გამო?

მე ამ კითხვაზე ვუპასუხებ. ჩვენ ამ ვაჟბატონებს ბრალს ვდებთ იმაში, რომ ისინი არიან სოციალიზმის გამცემლები. ამ ბრალდებას ჩვენ ვასაბუთებთ არა მარტო იმით, რაც მათ დღეს ჩაიდინეს, — ეს ბრალდების საგანია, — მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ მათი დაცემის ისტორია იწყება მათ მიერ ეგრეთწოდებული „პარალელური" ცენტრის, დანაშაულებრივი ტროცკისტულ-ზინოვიევური გაერთიანებული ბლოკის ამ ტოტის მოწყობამდე დიდი ხნით ადრე. ორგანული კავშირი აშკარაა. ისტორიული კავშირი აშკარაა.

1926 წლის პლატფორმიდან, ქუჩებში ანტისაბჭოთა გამოსვლებიდან, არალეგალური სტამბებიდან, თეთრგვარდიელ ოფიცრებთან კავშირიდან, რასაც ისინი მაშინაც სჩადიოდნენ, დივერსიებამდე, შპიონაჟამდე, ტერორამდე, სამშობლოს ღალატამდე 1932-1936 წლებში — ერთი ნაბიჯია. და ეს ნაბიჯი მათ გადადგეს!

ჩვენ ეს დავინახეთ უკვე ტროცკისტულ-ზინოვიევური გაერთიანებული ბლოკის მაგალითზე, ზინოვიევის, კამენევის, სმირნოვის, მრაჩკოვსკის, ტერ-ვაგანიანისა და სხვ. პოლიტიკური ბედის მაგალითზე, რომელთაც სამარცხვინოდ დაასრულეს თავისი სიცოცხლე უცხოეთის დაზვერვათა მიერ დაქირავებულთა ღალატით.

ამასვე ვხედავთ ახლაც ამ საქმის გამო ბრალდებულთა ბედის მაგალითზე, რომელთა უმრავლესობა მრავალი წლის განმავლობაში ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგ ებრძოდა ლენინსა და ლენინიზმს, ლენინ-სტალინის პარტიას, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

პიატაკოვი, კ. რადეკი, სოკოლნიკოვი, სერებრიაკოვი, დრობნისი, მურალოვი, ლივშიცი, ბოგუსლავსკი, შესტოვი — ყველა ესენი მთელი რიგი წლების განმავლობაში იბრძოდნენ სოციალიზმის საქმის წინააღმდეგ, ლენინ-სტალინის საქმის წინააღმდეგ.

ეს ვაჟბატონები უკვე მაშინ წარმართავდნენ თავიანთ ძალებს იქითკენ, რათა, როგორც სტალინი ამბობდა, „გაეტეხათ პარტიის ხერხემალი", და მასთან ერთად გაეტეხათ საბჭოთა ხელისუფლების ხერხემალიც, რომლის დაღუპვის შესახებ განუწყვეტლივ ჩხაოდა ყველა კონტრრევოლუციური ყორანი.

ამ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეს ვაჟბატონები ისე დაბლა დაეცნენ, როგორც, მგონი, ჯერ არავინ არასოდეს არ დაცემულა.

ლენინი ითვალისწინებდა ასეთ გარდუვალ სამარცხვინო დასასრულს, სადამდეც ბრალდებულები მივიდნენ და სადამდეც უნდა მივიდეს ყველა, ვინც იმ გზას დაადგება, რომელსაც ისინი დაადგნენ. ჩვენი პარტიის, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ რუსეთის კომუნისტურ პარტიად იწოდებოდა, მე-10 ყრილობის რეზოლუციაში, რაც მიღებულ იქნა ლენინის წინადადებით, იყო მრისხანე გაფრთხილება, რომ იგი, ვინც დაჟინებით იცავს თავის ფრაქციულობას და თავის შეცდომებს საბჭოთა წყობილებას დროს, აუცილებლად უნდა დაქანდეს მუშათა კლასის მტრების ბანაკში, თეთრგვარდიელებისა და იმპერიალისტების ბანაკში. ამ ვაჟბატონებმა მთელი თავისი საქმიანობით დაამტკიცეს ამ ისტორიული წინასწარმეტყველების სრული სიმართლე.

როგორ იბრძოდნენ ისინი ლენინის წინააღმდეგ

რას წარმოადგენენ ცენტრის წევრები თავის პოლიტიკურ წარსულში? პიატაკოვი და რადეკი, სერებრიაკოვი და სოკოლნიკოვი, ბოგუსლავსკი მრავალი წლის განმავლობაში ინერგავდნენ სიძულვილს საბჭოთა წყობილებისადმი, სოციალიზმისადმი.

ისინი ახერხებდნენ შეენიღბათ, ახერხებდნენ დაემალათ თავიანთი ნამდვილი გრძნობები და შეხედულებანი, თვალთმაქცობდნენ, ცრუობდნენ, რაშიაც ახლა ყველანი გამოტყდნენ. ტროცკიზმის ისეთი, მე ვიტყოდი, დამსახურებული მოღვაწენი, როგორიც არიან პიატაკოვი, რადეკი, დრობნისი, სერებრიაკოვი, ბოგუსლავსკი,—ინიღბებოდნენ, შანტაჟს ეწეოდნენ, ატყუებდნენ თავისიანებსაც და სხვებსაც. მხოლოდ ისეთ წრეში, რომელიც პიატაკოვმა და რადეკმა შექმნეს, შეიძლებოდა ასე ვთქვათ, ტროცკისტული აქტივის რიცხვში აღმოჩენილიყვნენ ისეთი ავანტიურისტები და არამზადები, როგორიც არიან რატაიჩაკები, კნიაზევები, შესტოვები, არნოლდები, სტროილოვები, გრაშეები.

თქვენ, ამხანაგო მოსამართლენო, ხედავდით აქ ამ ბატონებს, თქვენ მათ უსმენდით, თქვენ ისინი შეისწავლეთ. აი რატაიჩაკი, მზვერავი გერმანიის თუ პოლონეთისა, მაგრამ რომ ის მზვერავია, ყოველ ეჭვს გარეშეა, და, როგორც მას შეჰფერის,—ცრუ, მატყუარა და პლუტია. ადამიანი, რომელსაც, მისივე საკუთარი სიტყვით, აქვს ძველი ავტობიოგრაფია და ახალი ავტობიოგრაფია. ადამიანი, რომელიც ამ ავტობიოგრაფიებს, გარემოების მიხედვით, აყალბებს და ასხვაფერებს, ადამიანი, რომელიც, ვოლინის სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ყოფნის დროს, არა თუ ხელს აფარებს თავისი ხელქვეითის ძარცვა-გლეჯას, ქურდობასა და სპეკულაციას, არამედ მასთან ერთად მონაწილეობას იღებს პირდაპირ ანგარებიან დანაშაულობებში. და აი, ეს რატაიჩაკი, გამოძიებით და სასამართლოს მიერ გამოაშკარავებული მთელი თავისი შესანიშნავი თვისებებით, პიატაკოვის უახლოესი თანაშემწე ხდება ქიმიური მრეწველობის ხაზით. შესანიშნავი ქიმიკოსი კია! (დარბაზში მოძრაობაა).

პიატაკოვმა იცოდა, თუ ვინ უნდა შეერჩია. შეიძლება ითქვას, „ნადირი მონადირეს ეტანებაო". რატაიჩაკი მაღალი ჩინებისკენ მიძვრება. იგი სდუმს თავის მამოძრავებელ მოტივების შესახებ და არ ლაყბობს არნოლდივით, რომელმაც აღიარა, რომ მას აწვალებდა — „ლტოლვა საზოგადოების მაღალი ფენებისაკენ". (სიცილი, მოძრაობა დარბაზში). ამაზე რატაიჩაკი სდუმს. იგი, რასაკვირველია, არნოლდზე უფრო ეშმაკია. მან იცის, რომ სიტყვა ვერცხლია, დუმილი კი ოქრო. და აი ეს რატაიჩაკი, ყველა თავისი მორალური თვისებით, ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც შესძლო დიდ ხარისხთა მიღწევა. იგი „გლავხიმპრომის" უფროსია! საჭიროა მხოლოდ ჩავუფიქრდეთ იმას, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები: ჩვენი ქვეყნის მთელი ქიმიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი!

ან აიღეთ დრობნისი, ძველი პროფესიონალი ტროცკისტი, მუშების ეს მჟლეტელი ფორმულით— „რაც უფრო მეტი მსხვერპლია, მით უკეთესი". ან აიღეთ კნიაზევი, იაპონიის მზვერავი, რომელმაც ხრამში ჩაუშვა არა ერთი ათეული მარშრუტი, ან ლივშიცი — გზათა სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილე და ამავე დროს პიატაკოვის მოადგილე დანაშაულებრივ საქმეთა ხაზით ტრანსპორტზე. შეთავსებას დიდი გასავალი ჰქონდა ამ კამპანიაში... დაბოლოს, ტროცკისტი „ჯარისკაცი" მურალოვი, ტროცკის ერთერთი ყველაზე უფრო ერთგული და ძველისძველი ადიუტანტი, — მანაც აღიარა, რომ იყო მავნებელი და დივერსანტი. და მათ გვერდით — არნოლდი, იგივე ივანოვი, იგივე ვასილიევი, იგივე რასკი, იგივე კულპენენი, და თუ კიდევ რას უწოდებდნენ მას, — არავინ იცის. ეს გამოქექილი გაიძვერა, რომელსაც ცეცხლი, წყალი და სპილენძის მილები გაუვლია, ჟულიკი და ავანტიურისტი — ასევე ტროცკის ნდობით აღჭურვილი კაცი... და პირველი ბანდიტი. ან გრაშე, ადამიანი არა მარტო სამი განზომილებისა, არამედ, ყოველ შემთხვევაში, სამი ქვეშევრდომობისა, რომელმაც თვითონ განსაზღვრა თავისი ძირითადი პროფესია ძალიან მჭერმეტყველურად, თუმცა არც ისე სასიამოვნო სიტყვით, — ჯაშუში, და დასძინა, რომ მას, როგორც ჯაშუშს, მდგომარეობით არ მოეთხოვება რაიმე რწმენა ჰქონდეს... (სიცილი დარბაზში).

აი სახელდახელო დახასიათება იმ კადრებისა, რომლებიც აქ წარმოდგნენ სასამართლოს წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, მთელი მსოფლიოს წინაშე, კადრებისა, რომელთაც, ტროცკის მითითებით, თავი მოუყარა „პარალელურმა" ცენტრმა.

როდესაც ამ კადრებზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მათს მეთაურებზე, ატამანებზე. დავიწყებ, რა თქმა უნდა პიატაკოვით, — რომელიც ტროცკის შემდეგ პირველი ატამანი იყო ამ ბანდიტური ხროვისა. პიატაკოვი შემთხვევითი ადამიანი არ არის ტროცკისტებს შორის. პიატაკოვი, რომელიც დღემდის გულმოდგინედ და მოხერხებულად ინიღბებოდა, მუდამ იყო და არის ლენინიზმის ძველი მტერი, ჩვენი პარტიის მტერი და საბჭოთა ხელისუფლების მტერი. გავადევნოთ თვალი პიატაკოვის პოლიტიკურ გზას.

1915 წელს იგი ბუხარინთან ერთად გამოდის ანტილენინური პლატფორმით ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხზე, იმ საკითხზე, რომელსაც უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბოლშევიზმის პოზიციის განსაზღვრაში, და სხვათაშორის გაკვრით გალანძღა ლენინი, უწოდა რა მას „თვითგამორკვევის თალმუდისტი".

1916 წელს იგივე ადამიანი პ. კიევსკის ფსევდონიმით გამოდის, როგორც ტროცკიზმის უკვე ჩამოყალიბებული იდეოლოგი. იგი ამტკიცებს, რომ სოციალური გადატრიალება (იგი ამბობს — სოციალური პროცესი) შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ, როგორც ყველა ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებული მოქმედება, რომელიც ანგრევს ბურჟუაზიული სახელმწიფოს საზღვრებს, გლეჯს სასაზღვრო ბოძებს. გარეგნულად ეს არის საკითხის ულტრა — „მემარცხენე", ნამდვილად კი წმინდა ტროცკისტული დაყენება. პიატაკოვი აქ სავსებით იმეორებს ტროცკისტულ თეზისს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ. იგი გამოდის ლენინის წინააღმდეგ.

1917 წელი. პიატაკოვი კვლავ გამოდის წინააღმდეგ ლენინის თეზისისა ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. იგი ილაშქრებს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის წინააღმდეგ. პიატაკოვი 1917 წელს —წინააღმდეგია ლენინის აპრილის თეზისებისა.

1918 წელს იგი კვლავ გამოდის ლენინის წინააღმდეგ. ეს იყო წელიწადი, როდესაც ლენინის თქმით, ჩვენ პირველად „შევედით რევოლუციის შუაგულში". ეს იყო წელიწადი, როდესაც ლენინი მოგვიწოდებდა—„უკეთესია განვიცადოთ, მოვითმინოთ და ავიტანოთ, განუსაზღვრელად უფრო მეტი ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დამცირებანი და სიძნელენი, მაგრამ დავრჩეთ ჩვენს პოსტზე, როგორც სოციალისტური რაზმი, რომელიც მოვლენათა ძალით მოსწყდა სოციალისტური არმიის რიგებს და იძულებულია დაელოდოს, ვიდრე სოციალისტური რევოლუცია სხვა ქვეყნებში დახმარებას გაგვიწევდეს".

პიატაკოვის პოზიცია რადეკთან ერთად— ამ თეზისის წინააღმდეგია, ლენინის წინააღმდეგია. 1918 წელს, მოკალათდნენ რა პარტიის მოსკოვის ბიუროში, ეს ვაჟბატონები ამბობდნენ, რომ აუცილებელია, თუნდაც ეს საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვად დაგვიჯდეს, ბრესტის ზავი ჩავშალოთ. ბრესტის ზავის დადებას სტალინი სამართლიანად უწოდებდა ნიმუშს ლენინური სტრატეგიისას, რომელმაც მოგვცა ძალღონე მოვმზადებულიყავით დენიკინისა და კოლჩაკის ბანდების მოგერიებისათვის.

პიატაკოვებს და რადეკებს არაფრად უღირდათ საბჭოთა ხელისუფლება. ეს პიატაკოვი და მისი კომპანია იყო 1918 წელს, რომ საბჭოთა ქვეყნისათვის უმწვავესი საფრთხის მომენტში, აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ესერებთან კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაზე, ლენინის დაპატიმრებაზე, რათა პიატაკოვს დაეკავებინა მთავრობის ხელმძღვანელის — სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტი. ლენინის დაპატიმრების გზით, სახელმწიფო გადატრიალების გზით იკვლევდნენ გზას ძალაუფლებისაკენ ეს პოლიტიკური ავანტიურისტები. ისტორიული მემკვიდრეობითობა აშკარაა. ტროცკისთან ერთად პიატაკოვი ილაშქრებდა ლენინის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე დღეებში — ბრესტის დღეებში. ტროცკისთან ერთად პიატაკოვი, ილაშქრებდა ლენინის წინააღმდეგ იმ დღეებში, როდესაც პარტია ახდენდა ურთულეს შემობრუნებას ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ. ტროცკისთან ერთად პიატაკოვი იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, რომელიც გატარდა ჩვენი ბელადის და მასწავლებლის — ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით.

15 წელს, 16 წელს, 17 წელს, 18-სა და 19-ს, 21-სა და 23-ს, 26-სა და 27 წლებში—ათეულ წელზე მეტხნის განმავლობაში პიატაკოვი მუდამ იცავს ტროცკისტულ პოზიციებს, ეწევა აშკარა ბრძოლას ლენინის წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

1926 წელი—1936 წელი — ეს არის მეორე ათეული წელი პიატაკოვის თითქმის განუწყვეტელი, მაგრამ უკვე მალული, არალეგალური ბრძოლისა საბჭოთა სახელმწიფოს და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ბრძოლისა, რომელსაც იგი სისტემატურად და დაუღალავად აწარმოებდა, ვიდრე, ბოლოს, დანაშაულზე არ წაასწრეს, არ ამხილეს და ბრალდებულთა ამ სკამზე არ დასვეს, როგორც გამცემი და მოღალატე.

ასეთია პიატაკოვი და მისი პორტრეტი.

ბევრი რაც პიატაკოვზე ვთქვი, შეიძლება გავიმეოროთ ბრალდებულ რადეკის მიმართაც. რადეკი არაერთხელ გამოსულა ლენინის წინააღმდეგ როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგაც. ეს რადეკი 1926 წელს კომუნისტურ აკადემიაში გამართულ დისპუტზე ხითხითებდა და დასცინოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორიას, უწოდებდა რა მას ერთ მაზრაში, ერთ ქუჩაზედაც კი სოციალიზმის მშენებლობის იდეას, უწოდებდა რა ამ იდეას შჩედრინის იდეას.

ამის გამო სტალინი სწერდა: „შეიძლება თუ არა რადეკის ამ უხამს და ლიბერალურ ხითხითს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის იდეის შესახებ ვუწოდოთ სხვა რამ, თუ არა ლენინიზმთან კავშირის სრული გაწყვეტა" და ა. შ.

რადეკი — ერთერთი უთვალსაჩინოესი და, მართალი უნდა ითქვას, ნიჭიერი და ჯიუტი ტროცკისტია. ლენინის დროს იგი ომობს ლენინის წინააღმდეგ, ლენინის შემდეგ იგი ომობს სტალინის წინააღმდეგ. იგი გაუსწორებელია. იგი ანტისაბჭოთა ტროცკისტულ ცენტრში საგარეო პოლიტიკის პორტფელის მცველია. ტროცკის დავალებით იგი დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებს ზოგიერთ უცხოელ პირთან ან, როგორც თვითონ ამბობს, „ვიზას აძლევს" ტროცკის მანდატს. იგი რეგულარულად საკუთარი ასე ვთქვათ დიპლომატიური კურიერის, რომის საშუალებით მიწერ-მოწერას აწარმოებს ტროცკისთან, ღებულობს მისგან იმას, რასაც ისინი აქ მაღალფარდოვნად „დირექტივებს" უწოდებდნენ — იგი არის ამ ბანდის მთავარი ატამანი — ტროცკისათვის ერთერთი ყველაზე სანდო და ახლობელი ადამიანი.

სოკოლნიკოვი. 1918 წელს ისიც ლენინის წინააღმდეგაა. 1921 წელს იგი ხელს აწერს ბუხარინის ანტილენინურ პროფკავშირულ პლატფორმას. 1924 წელს იგი ხელს აწერს „გამოქვაბულის პლატფორმას", იმ პლატფორმას, რომელიც დაწერილი იყო გამოქვაბულში კისლოვოდსკის მახლობლად. 1925 წელს სოკოლნიკოვი, ცილს სწამებდა რა საბჭოთა სახელმწიფოს, ამტკიცებდა, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობა, ჩვენი საშინაო სავაჭრო საწარმოები სახელმწიფო-კაპიტალისტურ საწარმოებს წარმოადგენენო. სახელმწიფო ბანკი სწორედ ასევე წარმოადგენს სახელმწიფო - კაპიტალისტურ საწარმოს, რომ ჩვენი ფულის სისტემა კაპიტალისტური ეკონომიის პრინციპებით არის გაჟღენთილიო. კაპიტალისტური ეკონომიური პოლიტიკის აპოლოგეტია და იდეოლოგი!

ამხანაგმა სტალინმა მაშინ აღნიშნა, რომ სოკოლნიკოვი — ჩვენი ქვეყნის დაუესიზაციის მომხრეაო. სოკოლნიკოვი იყო ნამდვილი მომხრე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ჩამორჩენილობის შენარჩუნებისა, ე. ი. კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ჩვენი ქვეყნის დამონებისა, იმის მომხრე, რომ „ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური სისტემის უბრალო დამატებად გადაქცეულიყო". როგორც ხედავთ, სოკოლნიკოვი ამ პოზიციას დღევანდლამდეც არ გასცილებია.

სოკოლნიკოვი, 1925 წელს ფინანსთა სახალხო კომისრად ყოფნის დროს, ჩიოდა და ცილს სწამებდა ჩვენს პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი ხელს უშლიან მას დაიცვას პროლეტარიატის დიქტატურა და ებრძოლოს კულაკს, ხელს უშლიან კულაკის ალაგმვაში. ახლა კი სოკოლნიკოვმა მთელი ქვეყნიერების წინაშე აღიარა, რომ ტროცკისტულ ცენტრს, რომლის ერთერთი მესვეური იგი არის, ჰქონდა სწორედ კულაკის, ან უფრო სწორედ, კულაკის უკვე მცირე ნაშთის იმედი.

ორიოდე სიტყვა სერებრიაკოვის— ამ ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის მეოთხე წევრის შესახებ. იგი ხელს აწერს ბუხარინის პროგრამას 1920 წ. პროფკავშირული დისკუსიის დროს, იგი 1923 წლის ოპოზიციის აქტიური მონაწილეა, იგი 1926-27 წ.წ. ოპოზიციის აქტიური მონაწილეა. მას არსებითად, როგორც თვითონ გამოტყდა აქ, სასამართლოში, არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი ტროცკიზმთან. ცხადია, რომ მას ჰქონდა ყველა საფუძველი დაეჩემებინა ხელმძღვანელი მდგომარეობა ამ ანტისაბჭოთა ტროცკისტულ ცენტრში.

ძველ ტროცკისტებად ვიცნობთ ჩვენ ნ. მურალოვს, დრობნისს, ბოგუსლავსკის, ლივშიცს. ვიცით, რომ მათ მთელი რიგი წლები შესწირეს ლენინისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. განა ცხადი არაა, რომ ამ ადამიანთა მონაწილეობა ანტისაბჭოთა არალეგალურ ტროცკისტულ მუშაობაში, მონაწილეობა ტროცკისტულ მავნებლობაში, დივერსიებსა და ტერორისტულ ჯგუფებში, მათი მხრით სამშობლოს ღალატი მომზადებული იყო და წარმოადგენდა მთელი მათი წარსული ტროცკისტული საქმიანობის პირდაპირ შედეგს, წარმოადგენ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის—სსრ კავშირის პროკურორის

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

გაგრძელება

და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ მათი მრავალი წლის ბრძოლის პირდაპირ შედეგს.

თვითონ ბრალდებულები იძულებული იყვნენ ამაში გამოტეხილიყვნენ. ისინი დიდხანს, დაჟინებით და საზიზღრად აწარმოებდნენ ბრძოლას სოციალიზმის წინააღმდეგ. ახლა ისინი დაიჭირეს მამხილებელი საბუთებით. მათ ჩამოჰგლიჯეს უკანასკნელი ნიღაბი. ისინი მხილებული არიან როგორც ხალხის მტრები, როგორც ერთი მუჭა უზადრუკი გათახსირებული ადამიანები, რომელნიც უცხოეთის დაზვერვის აგენტები გახდნენ.

არა პოლიტიკური პარტია, არამედ დამნაშავეთა ბანდა

ამ ვაჟბატონებმა სცადეს ჩვენს წინაშე გამოსულიყვნენ, როგორც ერთგვარი პოლიტიკური პარტია. პიატაკოვი სასამართლოში თავის თანამზრახველებზე ლაპარაკობდა როგორც „ფრაქციაზე", ლაპარაკობდა თავისი „ფრაქციის", „პოლიტიკურ უნდობლობაზე" ბლოკის ზინოვიევური ნაწილისადმი. იგი ლაპარაკობდა „საკუთარ ორგანიზაციაზე", ხმარობდა რა ამ ცნებას პოლიტიკური აზრით, ლაპარაკობდა „საკუთარ" პოლიტიკაზედაც კი, რომლის გატარებასაც ჰფიქრობდა ტროცკი.

მაღალი სტილით ლაპარაკობდა რადეკიც — ერთერთი იმ „რეალურ პოლიტიკოსთაგანი", რომლებიც რეალურად ღალატობდნენ სამშობლოს, დაჰპირდნენ მტრებს რეალურსა და ტერიტორიულ დათმობებს.

ადვილად დარწმუნდებით, რომ მთელი ეს მაღალი სტილი, კაცმა რომ სთქვას, აქ რაღაც ძველი ჩვეულებით არის მიტმასნებული. ადვილად დარწმუნდებით, რომ ეს სრულიადაც არ არის პოლიტიკური პარტია, რომ ეს უბრალო ბანდაა სისხლის სამართლის დამნაშავეებისა, რომელნიც არაფრით, ან, მათთვის საუკეთესო შემთხვევაში, ბევრით არაფრით არ განსხვავდებიან იმ ბანდიტებისაგან, ვინც საცერულით და ბებუთით მოქმედებს ბნელ ღამეში ფართო შარაგზაზე.

ამ ჯგუფის ფესვები არის არა ჩვენი ქვეყნის ხალხის მასებში, რომლებისაც ამ ბანდას ეშინია, რომლებსაც იგი გაურბის, როგორც ეშმაკი საკმეველს. ეს ბანდა ხალხის მასებს უმალავს თავის სახეს, უმალავს თავის მხეცურ ეშვებს, თავის მხეცურ კბილებს. ამ კომპანიის, ამ ბანდის ფესვები უნდა ვეძებოთ უცხოეთის იმ დაზვერვის ჯურღმულებში, რომელმაც შეისყიდა ეს ადამიანები, რომელმაც ისინი თავის კმაყოფაზე აიყვანა, რომელიც სასყიდელს აძლევდა მათ ერთგული მონური სამსახურისათვის.

პიატაკოვი არწმუნებს თავის ხელქვეითებს, რომ აუცილებელია მოვაწყოთ აფეთქებანი და დივერსიები, რომლებსაც უპირატესად ადამიანთა მსხვერპლი უნდა მოჰყვეს. დრობნისი ამტკიცებს, „რაც უფრო მეტი იქნება მსხვერპლი, მით უკეთესი" ტროცკისტებისათვის. შესტოვი აწყობს მკვლელობებს. ლივშიცი, კნიაზევი, ტუროკი აწყობენ მატარებელთა მარცხებს. ხოლო რადეკი მუშაობს „საგარეო პოლიტიკაში", რომლის აზრი ისაა, რომ, ისე როგორც ლივშიცი და კნიაზევი ხრამში გადასჩეხავდნენ ხოლმე მატარებლებს, მასაც ხრამში გადაეჩეხნა სოციალიზმის საქმე, გაეხსნა ჭიშკარი უცხოელი მტრისთვის, მტერ-აგრესორისთვის. აიღეთ ცალკეული ჯგუფები: ისინი გადაიბლართნენ უცხოეთის დაზვერვას, რომელიც ყიდულობდა მათ მხარის დაჭერის დაპირებით, ან პირდაპირ ნაღდ ფულად.

ისინი აფეთქებენ შახტებს, ჰბუგავენ საამქროებს, ამსხვრევენ მატარებლებს, ასახიჩრებენ, ხოცავენ ასობით საუკეთესო ადამიანებს, ჩვენი სამშობლოს შვილებს. გორლოვკის აზოტ-სასუქის ქარხნის 800 მუშამ გაზეთ „პრავდის" საშუალებით გამოაქვეყნა ამ ქარხნის იმ საუკეთესო სტახანოველთა სახელები, რომელნიც დივერსანტთა ვერაგული ხელით დაიღუპნენ. აი ამ მსხვერპლთა სიაც: ლუნევი — სტახანოველი, დაიბადა 1902 წელს. იუდინი—ნიჭიერი ინჟინერი, დაიბადა 1913 წელს. კურკინი — კომკავშირელი, სტახანოველი 23 წლისა. სტრელნიკოვა — დამკვრელი — ქალი, დაიბადა 1913 წელს. მოსიეცი— დამკვრელი, დაიბადა 1913 წელსვე. ეს—მოკლულები არიან. დაჭრილია ათზე მეტი კაცი. დაიღუპა მაქსიმენკო— სტახანოველი. ნეჟიხინი, ერთერთი საუკეთესო დამკვრელი, რომელიც ჩაეშვა „ცენტრალნაიას" შახტის სანგრევში, დასთმო თავისი ათი დღის შვებულება, ხოლო იქ მას ჩაუსაფრდნენ და მოჰკლეს, მოჰკლეს ამფეთქებელი იურიევი — თეთრჩინელებთან ბრძოლების ერთერთი მონაწილე, მოჰკლეს ლანინი, სამოქალაქო ომის მონაწილე, ძველი მაღაროელი, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ამხანაგო მოსამართლენო! მათი მკვლელნი აი აქ სხედან, თქვენს წინაშე...

შესტოვი აწყობს ბანკის გაძარცვას. შესტოვი აწყობს ინჟინერ ბოიარშინოვის ბანდიტურ მოკვლას, რადგან იგი მას მოეჩვენა ისეთ ადამიანად, რომელსაც შესწევს უნარი ამხილოს მათი დანაშაულებრივი საქმიანობა.

არნოლდი — საერთაშორისო მაწანწალა, რომელსაც, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოუვლია და რომელიც ყოველგან სტოვებდა თავისი თაღლითური ხრიკების კვალს. მინსკში ის ამზადებს ყალბ დოკუმენტს, ამერიკაში ხდება ამერიკის არმიის სერჟანტად და თავს ამოჰყოფს საპყრობილეში, მისივე საკუთარი აღიარებით, იმისათვის, რომ მას დასწამეს სახაზინო ქონების გაფლანგვა. ვფიქრობ, ამ კაცს როდესაც სახაზინო ქონებასთან ხელი მიუწვდებოდა, ეს სახაზინო ქონება ვერ იხეირებდა (სიცილი).

ეს არის ადამიანი, რომელიც მასონების საშუალებით ცდილობდა გამძვრალიყო ამერიკის „საზოგადოების უმაღლეს ფენებში", ხოლო ტროცკისტების საშუალებით—ძალაუფლებისაკენ, რომელზედაც ფარულად და საღერღელაშლილი ოხრავდა, — გამძვრალიყო ისეთი აღმზრდელის მოხერხებული ხელმძღვანელობით, როგორიც იყო ჩამოსაღრჩობი შესტოვი...

ამ „პოლიტიკური" მოღვაწეებისათვის არაფერი იყო რელსებისათვის ხრახნები მოეშალათ, ერთმანეთისათვის დაეჯახებინათ მატარებლები. მათთვის არაფერი იყო, დაეგაზირებინათ შახტი და ჩაეშვათ შახტში ათეული თუ რამდენიმე ათეული მუშა.

არაფერი იყო ფარულად მოეკლათ პატიოსნად მომუშავე ინჟინერი.

ცეცხლი წაეკიდებინათ ქარხნისათვის. დინამიტის ორმოში აეფეთქებინათ იქ ჩასული ბავშვები.

— კარგი რამ კია, უნდა ითქვას, ეს პოლიტიკური პარტია!

— ეს რომ პარტია ყოფილიყო, იგი მასებს არ დაუმალავდა თავის პროგრამას.

პოლიტიკური პარტიები არ მალავენ თავიანთ პროგრამებს, თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს. ბოლშევიკები არასოდეს არ ემალებოდნენ მასებს და არასოდეს არ მალავდნენ თავიანთ პროგრამას.

რუსეთის რევოლუციის გარიჟრაჟზე ლენინი სწერდა იმ უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელსაც რევოლუციური სოციალ - დემოკრატია ანიჭებს თავისი იდეების აშკარა პროპაგანდას, თავისი მიზნების აშკარად განცხადებას, აშკარა მასობრივ აგიტაციას თავის პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული შეხედულებებისა და პრინციპებისათვის. ლენინ - სტალინის პარტია გაიზარდა, განმტკიცდა და უდიდეს და უძლიერეს ძალად გადაიქცა როგორც ისეთი პარტია, რომელიც მასებს ეყრდნობა, როგორც მასებთან ორგანულად დაკავშირებული პარტია. ეს არის ნამდვილი პოლიტიკური პარტიის ნიშნეულობა.

ამ „პარტიას" კი, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ, ეშინოდა და ეშინია თავის შესახებ სიმართლე უთხრას ხალხს, ეშინია ილაპარაკოს თავისი პროგრამების შესახებ.

რატომ? იმიტომ, რომ მათი შეხედულებანი, მათი პროგრამა საძულველია ჩვენი ხალხისათვის, ისე როგორც საძულველია კაპიტალისტური კაბალა, როგორც საძულველია კაპიტალისტური ჩაგვრა, რომელიც ამ ვაჟბატონებს უნდათ დააბრუნონ, უნდათ თავს მოახვიონ ჩვენს ხალხს, იმიტომ, რომ ისინი გადაიქცნენ გარეწართა ჯგუფად, რომელიც მოწყვეტილია ხალხს, ბოროტმოქმედთა ბანდად, რომელსაც სათავეში უდგანან ატამანი ტროცკი, ქვეატამანები პიატაკოვი და რადეკი და ბანდიტთა სხვა „ბატკოები". ეს საბჭოთა ქვეყნის მცენარე როდი არის. ეს მცენარე უცხო წარმოშობისაა და იგი საბჭოთა მიწა-წყალზე ვერ იხარებს, ვერ გაიფურჩქნება...

უცნაური მოსასმენია, როცა ეს ვაჟბატონები გველაპარაკებიან ამ „პარტიის", ნამდვილად კი ბოროტმოქმედთა ბანდის, რაღაც შეთანხმებაზე იაპონიის და გერმანიის ფაშისტურ ძალებთან. როგორ შეიძლება ამაზე სერიოზულად ლაპარაკი, როდესაც თვით ეს „პარალელური" ცენტრი — რაღაც უზადრუკი ჭიაღუაა მგელთან შედარებით.

შეთანხმება! პირდაპირ გეთქვათ: „დავნებდით გამარჯვებულის გულმოწყალებასო".

ეს შეთანხმება მაგონებს კრილოვის არაკს „ლომი ნადირობაზე". არაკში ნათქვამია, თუ როგორ დასდეს ერთმანეთთან შეთანხმება ძაღლმა, ლომმა, მგელმა და მელამ — „დასდეს პირობა" შეერთებული ძალით ენადირნათ მხეცებზე. მელამ დაიჭირა ირემი, დაიწყეს გაყოფა. აქ „შეთანხმების ერთერთი მონაწილე მხარე" ამბობს: „აი ეს ნაწილი ხელშეკრულებით ჩემია, აი ეს უდავოდ მე მეკუთვნის, როგორც ლომს, აი ესეც მე იმისათვის, რომ ყველაზე ძლიერი ვარ, ხოლო ამას კი —თუ ვინმე თქვენგანმა თათი ახლო, აქედან ცოცხალი ველარ წავა". (სიცილი).

ძალიან ჰგავს ეს „პირობა" თქვენს შეთანხმებას, ბატონო ბრალდებულნო, გერმანიისა და იაპონიის ფაშიზმის ბატონო ოფიცრებო! აი რატომ ვამტკიცებ მე, რომ აქ არ არის არავითარი პოლიტიკური პარტია, — არის ბოროტმოქმედთა ბანდა, არიან მორალურად უზადრუკი, მორალურად გახრწნილი ადამიანები, რომლებსაც სინიდისიც დაუკარგავთ და გონებაც.

მორალურად უზადრუკნი, მორალურად გახრწნილნი

რატომ არის, რომ უცხოეთის დაზვერვანი ტროცკისტებს შორის ჰპოულობენ თავიანთ აგენტებს? იმიტომ, რომ ტროცკისტებმა მთელი თავიანთი წარსულითა და აწმყოთი დაამტკიცეს შეურიგებელი მტრობა საბჭოებისადმი, მზადყოფნა ემსახურონ კაპიტალიზმს არა შიშით, არამედ თავიანთი სინიდისის უკანასკნელი ნაშთით,—დაამტკიცეს თავიანთი უნარი იმოქმედონ ბრძოლის უაღრესად ბინძური და საზიზღარი საშუალებებით ისე, რომ არაფრის წინაშე არ შეჩერდნენ. განა უკიდურესი მორალური გახრწნილებას არ მოწმობს პიატაკოვისა და რადეკის სტატიები, მიძღვნილი თავის თანამონაწილეებისადმი, ზინოვიევისა და კამენევისადმი, ამ უსაზიზღრესი მოღალატეებისადმი, ნამდვილი ბანდიტებისადმი, რომლებმაც მოჰკლეს დაუვიწყარი სერგეი მირონის-ძე კიროვი! განა უმწვერვალეს ცინიზმს და ადამიანის სინიდისის უკანასკნელი ნაშთის, მორალის უკანასკნელ ცნებათა დაცინვას არ წარმოადგენენ ის სტატიები, რომლებშიაც რადეკი და პიატაკოვი აღშფოთებულ უცოდველთა ცბიერი სახით მოითხოვდნენ თავიანთი საკუთარი მოკავშირეების, თანამოაზრეებისა და თანამონაწილეების დახვრეტას?!

აი რადეკი, „ბოლშევიკის" 1935 წლის მე-3 ნომერში ამხელს — როგორ ფიქრობთ? — ზინოვიევსა და ზინოვიევის ფრაქციის მთელი ზედაფენის, როგორც იგი ამბობს, თვალთმაქცობას.

ნება მიბოძეთ დავიმოწმო რადეკი იმ საკითხზე, თუ რა არის თვალთმაქცობა... რადეკისა. იგი სწერს:

„დაეშვნენ რა კონტრრევოლუციამდე, ზინოვიევურ - ტროცკისტული ბლოკის ყოფილმა ბელადებმა გამოიყენეს ინტერვენციის მზვერავთა, ძირგამომთხრელთა და მავნებელთა ეს მეთოდი, თვალთმაქცობა, რომელიც აღმოჩნდა შემნიღბველ საშუალებად, რაც შესაძლებლობას იძლევა სროლა აუტეხონ პროლეტარულ შტაბს".

ჩვენ ვიცით, რომ როდესაც რადეკი ამ სტატიას სწერდა, მან უკვე დიდი ხნით ადრე იცოდა, რომ მზადდებოდა სერგეი მირონის-ძე კიროვის ავაზაკური მკვლელობა. ჩვენ ვიცით, რომ რადეკი შეთქმული და შეთანხმებული იყო ზინოვიევსა და კამენევთან, რომლებმაც მოჰკლეს ამხ. კიროვი, ვისაც სიკვდილი განუმზადეს თვით ამ რადეკმა და მისმა იმ მეგობრებმა, რომლებიც ას გვერდით უსხედან.

და აი, ჰფარავს რა ამ ვერაგულ ბოროტმოქმედებაში თავისი თანამონაწილეობის კვალს. რადეკი მოგვითხრობს გამომჟღავნებულ თვალთმაქცებზე, რომლებიც მიცემული არიან კანონის ხელში,—„რომელმაც იცის, თუ როგორ მოეპყრას იმათ ვინც ცდილობს შეარყიოს პროლეტარული რევოლუციის საფუძვლები".

დიახ, ბრალდებულო რადეკ, თქვენ მართალი ხართ! საბჭოთა კანონმა იცის, თუ როგორ მოეპყრას თქვენი და თქვენი მეგობრების მსგავს თვალთმაქცებსა და მოღალატეებს.

შემდეგ იგი სწერს: „სმირნოვი და მრაჩკოვსკი... ისე დაბლა დაეცნენ, რომ შეუძლებელია მათი სახელის ხსენებამ ზიზღი არ მოგვგვაროს". სწერდა თუ არა ამას რადეკი? სწერდა. ვაი რომ სწერდა! მაშინ რადეკი გულახდილობას ჩემულობდა, თავს ისე გვაჩვენებდა, თითქოს ინანიებს, გულწრფელად ლაპარაკობს. იგი აღშფოთებული იყო, ილანძღებოდა, იწყევლებოდა, ფიცულობდა, გვარწმუნებდა, ინანიებდა... გულწრფელად. არა, იგი სტყუოდა... იგი თავს ისე გვაჩვენებდა, თითქოს გულწრფელად ლაპარაკობს. იგი მხოლოდ თავს იკატუნებდა, რომ სიმართლეს ლაპარაკობს, სწყევლიდა თავის მეგობრებს, რათა თვალი აერიდებინა საკუთარი თავისათვის, რათა როგორც მან აქ თავის ჯიბგირული ჟარგონით სთქვა „არ ჩაფლავებულიყო". მაგრამ იგი მაინც „ჩაფლავდა". მან მიმართა პირწავარდნილ ბოროტმოქმედთა მეთოდს. „დაიჭით ქურდი!"—გაჰკიოდა იგი, რათა დაეძვრინა თავი მართლმსაჯულების ხელიდან. ეს არის იმათი ცნობილი ხერხი, რომლებიც შემდეგი ენით ლაპარაკობენ: „ჩაფლავება" და „მიკერება". იგი ცდილობდა თავი ეხსნა, თავი დაეძვრინა პასუხისმგებლობისაგან. იგი, ეს რადეკი, თავისი მეგობრებისა და თავისი თანამონაწილეების გვამებზე გავლით ცდილობდა თავი დაეღწია იმ აშმორებული სისხლიან-ბინძური ორმოსათვის, რომელშიაც იგი მაშინ უკვე კისრამდე იყო ჩაფლული. იგი ხელოვნური და ყალბი, წინასწარ მოფიქრებული აფექტაციით გაიძახოდა:

„პროლეტარული სამსჯავრო სისხლიან მკვლელთა ბანდას გამოუტანს განაჩენს, რომელიც მათ ასზის დაიმსახურეს. იმ ადამიანებმა, რომელთაც იარაღი აღმართეს პროლეტარიატის საყვარელ ბელადთა სიცოცხლის წინააღმდეგ, სიცოცხლით უნდა აგონ პასუხი თავისი უსაზღვრო დანაშაულისათვის. ამ ბანდის და მის საქმეთა მთავარი ორგანიზატორი ტროცკი უკვე გააკრა ისტორიამ სამარცხვინო ბოძზე. იგი ვერ ასცდება მსოფლიო პროლეტარიატის განაჩენს".

თქვენ გახსოვთ, რადეკ, თქვენ მაშინ ამბობდით, რომ ამ ადამიანებმა, **ასეთმა** ადამიანებმა სიცოცხლით უნდა აგონ პასუხი თავისი დანაშაულისთვის. რადეკი სწერდა: „ამ ბანდის მთავარი ორგანიზატორი —ტროცკი — უკვე გააკრა ისტორიამ სამარცხვინო ბოძზე, იგი ვერ ასცდება მსოფლიო პროლეტარიატის წყევა-კრულვასო". ეს სწორია. მოღალატენი ვერ ასცდებიან მსოფლიო პროლეტარიატის განაჩენს, როგორც ვერ ასცდებიან ჩვენი საბჭოთა სასამართლოს, მუშათა და გლეხთა დიადი სოციალისტური სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენსაც!

ხოლო პიატაკოვი? პიატაკოვიც გამოდის პრესაში ბანდიტურ-ტერორისტული გაერთიანებული ტროცკისტულ - ზინოვიევური ცენტრის მხილების გამო. პიატაკოვი ცოფს ჰყრის საზიზღარი კონტრრევოლუციური საქმიანობის გამო, საქმიანობის, რომელიც, როგორც იგი სწერდა, თვალთმაქცობის, სიცრუისა და მოტყუების აუტანელი შმორითაა მოცული. რას იტყვის პიატაკოვი ამჟამად იმისათვის, რომ დაჰგმოს თავისი საკუთარი მორალური დაცემა, თავისი საკუთარი „სიცრუის, თვალთმაქცობისა და მოტყუების შმორი!" მონახავს თუ არა პიატაკოვი ამ სიტყვებს, და თუ მონახავს, რა ფასი აქვს ამ სიტყვებს, ვინ დაუჯერებს ამ სიტყვებს.

პიატაკოვი სწერდა:

„სიტყვები არ გყოფნის, რომ სავსებით გამოხატო შენი აღშფოთება და ზიზღი. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ადამიანობის უკანასკნელი ნასახი დაჰკარგეს. ისინი განადგურებულ უნდა იქნენ, განადგურებულ უნდა იქნენ როგორც მძორი, რომელიც სწამლავს საბჭოთა ქვეყნის სუფთა, საღ ჰაერს, საშიში მძორი, რომელსაც შეუძლია სიკვდილი მოუტანოს ჩვენს ბელადებს და უკვე მოუტანა სიკვდილი ჩვენი ქვეყნის ერთერთ საუკეთესო ადამიანს, — ისეთ შესანიშნავ ამხანაგსა და ხელმძღვანელს, როგორიცაა ს. მ. კიროვი".

გულამოსკვნილი დასტირის პიატაკოვი მის მიერ მოკლული კიროვის ცხედარს. მოსთქვამს. „მტერი ჩვენი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში გამოჭერილია", — სწერს პიატაკოვი, იხედება რა სარკეში. „ეგუება ვითარებას". — კოპწიაობს პიატაკოვი სარკის წინ. „თავს იკატუნებს", — ჰფიქრობს თავის თავზე პიატაკოვი, — ოსტატურად კი ვიკატუნებ თავს... „სიცრუეს ამბობს". ჰმ,—ფიქრობს პიატაკოვი, როგორ არ უნდა ვიცრუო ასეთ მდგომარეობაში. „კვალს ჰფარავს"... „ცდილობს ნდობა მოიხვეჭოს"...

აი რასა სწერს პიატაკოვი, ჰფარავს რა თავის დანაშაულთა სისხლიან კვალს:

„ბევრმა ჩვენგანმა, მათ რიცხვში მეც, ჩვენი დოყლაპიობით, უდარდელობით, ჩვენს გარშემო მყოფთა მიმართ უყურადღებობით, ჩვენდა შეუმჩნევლად, გაუადვილეთ ამ ბანდიტებს ეკეთებინათ თავიანთი ბნელი საქმე".

გასაოცარი ხრიკია! ნაკლები სიფხიზლე ჰქონდა პიატაკოვს! (**დარბაზში მოძრაობაა**). აი, თურმე, რაშია დამნაშავე პიატაკოვი. ეს ისევ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ძველი ხერხია. როცა ადამიანს ბრალს სდებენ გაძარცვასა და მკვლელობაში, იგი თავს დამნაშავედ აღიარებს გაძარცვაში. როცა ადამიანს ბრალსა სდებენ ქურდობაში ბინის გატეხით, იგი თავს აღიარებს დამნაშავედ მხოლოდ ქურდობაში, როცა მას ბრალსა სდებენ ქურდობაში, იგი, უკიდურეს შემთხვევაში, თავს აღიარებს დამნაშავედ მხოლოდ მოპარული ნივთის შენახვასა ან ყიდვაში. ეს პროფესიონალ დამნაშავეთა ძველი ტაქტიკაა.

პიატაკოვი სწერდა: „კარგია, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებმა ამხილეს ეს ბანდა". მართალია, კარგია. მადლობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს, რომ მათ ბოლოს ამხილეს აი ეს ბანდა! (**სიცილი დარბაზში**). „კარგია, რომ შეიძლება მისი მოსპობა". მართალია, ბრალდებულო პიატაკოვ, კარგია, რომ შეიძლება, არა მარტო შეიძლება, არამედ საჭიროა მოსპობა. „სახელი და დიდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკებს". თქვენ უტიფრობთ, ბრალდებულო პიატაკოვ.

ვის შესახებ სწერდა პიატაკოვი 1936 წ. 21 აგვისტოს? პიატაკოვი სწერდა თავისთავის შესახებ. პიატაკოვმა გაუსწრო მოვლენათა შეუბრალებელ მსვლელობას.

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროგრამა

გაერთიანებული ზინოვიევურ-ტროცკისტული ცენტრი და მისი მოღვაწენი დაჟინებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მათ არავითარი პოლიტიკური საპროგრამო მოთხოვნა არ ჰქონიათ, რომ მათ ჰქონდათ „ძალაუფლების გაშიშვლებული წყურვილი" ეს არ არის მართალი. ეს იყო საზოგადოებრივი აზრის მოტყუების ცდა. შეუძლებელია ბრძოლა ძალაუფლებისათვის რაიმე პროგრამის გარეშე, პროგრამის გარეშე, რომელიც უნდა აყალიბებდეს მიზნებს, ამოცანებს, მისწრაფებას, ბრძოლის საშუალებებს. ჩვენ არც მაშინ გვჯეროდა, რომ გაერთიანებულ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ტერორისტულ ცენტრს არ ჰქონდა რაიმე პროგრამა. ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი მას გულმოდგინედ მალავდნენ, და მართლაც: მათ ჰქონდათ პროგრამა, ისე როგორც პროგრამა ჰქონდა ამ ტროცკისტულ ტერორისტულ ცენტრსაც. იგი მდგომარეობდა იმაში, რომ აშკარად იყო აღიარებული კაპიტალისტური რესტავრაციის აუცილებლობა სსრ კავშირში.

სოკოლნიკოვმა დაადასტურა, რომ არსებითად — ეს იყო რიუტინის ძველი ანტისაბჭოთა პროგრამა. და ეს მართალია. სოკოლნიკოვი ამბობდა:

„ რაც შეეხება საპროგრამო მიზანდასახულებებს, ჯერ კიდევ 1932 წელს ტროცკისტებიც, ზინოვიეველებიც, მემარჯვენენიც ერთმანეთს ეთანხმებოდნენ ძირითადად იმ პროგრამაზე, რომელიც წინათ ხასიათდებოდა როგორც მემარჯვენეთა პროგრამა. ეს იყო ეგრეთწოდებული რიუტინის პლატფორმა; იგი მეტწილად გამოხატავდა სწორედ ამ, სამივე ჯგუფისათვის საერთო საპროგრამო მიზანდასახულებებს ჯერ კიდევ 1932 წელში.

რაც შეეხება ამ პროგრამის შემდგომ განვითარებას, ცენტრის ხელმძღვანელი წევრები ფიქრობდნენ, რომ ჩვენი რევოლუცია, ვერ გასძლებდა როგორც სოციალისტური, თუ იგი იზოლირებული დარჩებოდა, რომ კაუტსკის ულტრაიმპერიალიზმის თეორია და ბუხარინის ორგანიზებული კაპიტალიზმის თეორია, რომელიც მას ენათესავება, სწორი გამოდგა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ფაშიზმი ეს ყველაზე ორგანიზებული კაპიტალიზმია, იგი იმარჯვებს, იპყრობს ევროპას, გვაღრჩობს ჩვენ —ამიტომ სჯობს მოვურიგდეთ მას, სჯობს წავიდეთ რაიმე კომპრომისზე სოციალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ უკანდახევის აზრით".

მაგრამ, როგორ „მოვურიგდეთ"? მოისურვებს თუ არა ფაშიზმი „მორიგებას"? ხომ არ ამჯობინებს იგი იმოქმედოს ყოველგვარი მორიგების გარეშე, ისე როგორც მოქმედებს იგი ყველგან, მთელ მსოფლიოში—ტაციობით, მძლავრობით, სუსტების გასრესითა და მოსპობით? რადეკი ამბობდა: ცხადია,

„მდგომარეობის ბატონ - პატრონი იქნება ფაშიზმი — გერმანიის ფაშიზმი, ერთი მხრივ, და შორეულ-აღმოსავლეთის ერთი ქვეყნის სამხედრო ფაშიზმი, მეორე მხრივ".

ეს, რა თქმა უნდა, მათზე ნაკლებად არ ესმოდა არც იმათ მასწავლებელ ტროცკის, ეს ესმოდა მთელ ტროცკისტულ ცენტრს. ამაზე ისინი თვალხილულად მიდიოდნენ. ეს შეადგენდა მათი „შესანიშნავი" პროგრამის მეორე პუნქტს.

მესამე პუნქტი იყო ომისა და სსრ კავშირის დამარცხების საკითხი.

მეოთხე — დამარცხების შედეგთა საკითხი: არა მარტო საკონცესიოდ გადაცემა იმპერიალისტურ სახელმწიფოთათვის მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოებისა, არამედ კერძო საკუთრებად გაყიდვაც მათ მიერ დასახულ მნიშვნელოვანი ეკონომიური ობიექტებისა. ეს იყო სესხები, რომელთა შესახებაც რადეკი ლაპარაკობდა; ეს იყო უცხოეთის კაპიტალის დაშვება იმ ქარხნებში, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად დარჩებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ხელში.

მეხუთე პუნქტი, — როგორც ისინი ამბობდნენ, იყო აგრარული საკითხი. ამ აგრარულ საკითხს ძალიან უბრალოდ სწყვეტდა „პარალელური" ცენტრი, სწორედ ისე, როგორც ფამუსოვი სწყვეტდა კულტურულ საკითხს: „შევაგროვოთ ყველა წიგნი და ცეცხლს მივცეთო". ისინიც ასე სწყვეტდნენ აგრარულ საკითხს. ცეცხლისთვის უნდა მიეცათ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვარნი — დაეშალათ კოლმეურნეობანი, მოესპოთ საბჭოთა მეურნეობანი, ერთპიროვნულ მეურნეთათვის გადაეცათ ტრაქტორები და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

რისთვის? გულახდილად არის ნათქვამი: „ახალი კულაკური წყობილების ასაღორძინებლად". ვითომ „ახლისა"? იქნებ, პირდაპირ ძველისა?

მეექვსე საკითხი — ეს იყო დემოკრატიის საკითხი. რადეკმა ილაპარაკა, თუ რას სწერდა მას ამაზე ტროცკი. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ეს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია პროლეტარული სოციალისტური დემოკრატიის უაღრესად მაღალ განვითარებას, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს ჩვენი ხალხის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული და დამტკიცებული დიადი სტალინური კონსტიტუცია. როგორ ისმებოდა დემოკრატიის საკითხი ტროცკისტულ პროგრამაში, რას ამბობს დემოკრატიის საკითხზე ქ. რადეკი, რომელმაც თავისი მასწავლებლისაგან წერილი მიიღო?

„წერილში ტროცკიმ სთქვა (მომყავს ადგილები რადეკის ჩვენებიდან): —

„არავითარ დემოკრატიაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მუშათა კლასმა განვლო რევოლუციის 18 წელი (ახლა უკვე 19) და მას უზარმაზარი მადა აქვს"...

ეს მართალია. ისეთი უზარმაზარი მადა, რომ იგი შესჭამს, როგორც უკვე არა ერთხელ შეუჭამია, თავის ყველა მტერს —

„... ეს მუშა კი ნაწილობრივ კერძო ფაბრიკებში უნდა დავაბრუნოთ, ნაწილობრივ სახელმწიფო ფაბრიკებში, რომლებიც უცხოეთის კაპიტალთან უმძიმესი კონკურენციის მდგომარეობაში იქნებიან. მაშასადამე, მოხდება მუშათა კლასის მდგომარეობის მძაფრი გაუარესება".

სოფლად კი?

„სოფლად განახლდება ღარიბი და საშუალო გლეხობის ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. და მაშინ, რომ გასძლოს, საჭირო იქნება მაგარი ხელისუფლება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ფორმებით იქნება ეს დაფარული. თუ ისტორიული ანალოგიები გნებავთ, აიღეთ ანალოგია ნაპოლეონ პირველის ძალაუფლებასთან — **და ჩაუფიქრდით ამ ანალოგიას**".

და სჩანს, რადეკი ძალიან კარგად ჩაუფიქრდა.

და, ბოლოს, მეშვიდე საკითხი — საგარეო პოლიტიკის პროგრამა, ქვეყნის გაყოფა: „გერმანიას მიეცეს უკრაინა; პრიმორიე და პრიამურიე —იაპონიას". შემდეგ ჩვენ გვაინტერესებდა, თუ როგორ იქნებოდა საქმე რომელიმე სხვა ეკონომიური დათმობების მხრივ.

რადეკმა გვიპასუხა: კონტრიბუციის გადახდა სურსათ-სანოვაგის, ნედლეულისა და ცხიმების მიწოდებათა სახით, რაც მრავალწლის უნდა გაგრძელებულიყო. შემდეგ — თავდაპირველად მან ეს სთქვა უციფრებოდ, ხოლო მერმე უფრო გარკვეულად — გამარჯვებული ქვეყნებისათვის საბჭოთა იმპორტში მონაწილეობის უზრუნველყოფის განსაზღვრული პროცენტი. ყოველივე ეს ერთად ნიშნავდა ქვეყნის სრულ დამონებას.

მე შევეკითხე: იყო თუ არა ლაპარაკი სახალინის ნავთის შესახებ?

რადეკი: იაპონიის შესახებ იყო ლაპარაკი. საჭიროა არა მარტო მივსცეთ მას სახალინის ნავთი, არამედ უზრუნველვყოთ იგი ნავთით ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომის შემთხვევაში. აღნიშნული იყო იმის აუცილებლობა, რომ არავითარი დაბრკოლება არ შეექმნათ იაპონიის იმპერიალიზმის მიერ ჩინეთის დაპყრობისთვის.

დუნაის ქვეყნების შესახებ?

რადეკი: დუნაისა და ბალკანეთის ქვეყნების შესახებ ტროცკი წერილში ამბობდა, რომ სწარმოებს გერმანიის ფაშიზმის ექსპანსია და ჩვენ არაფრით არ უნდა შევუშალოთ ხელი ამ ფაქტსო. ცხადია საქმე ეხებოდა ჩეხოსლოვაკიასთან ჩვენი ყოველგვარი ისეთი ურთიერთობის შეწყვეტას, რაც ამ ქვეყნისათვის დაცვა იქნებოდა.

აი ცენტრის ამ ეგრეთწოდებული პროგრამის შვიდი ძირითადი საკითხი.

რას ნიშნავდა და რას ნიშნავს ეს პროგრამა მუშათა კლასისათვის, გლეხებისათვის, მშვიდობიანობის საქმისათვის, საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის?

ეს პროგრამა ნიშნავს წარსულისაკენ დაბრუნებას, მუშათა და გლეხთა ყველა მონაპოვრის ლიკვიდაციას, სოციალიზმის გამარჯვებათა ლიკვიდაციას, საბჭოთა სოციალისტური წყობილების ლიკვიდაციას.

სწორედ ამიტომ მალავდნენ ზინოვიევი, კამენევი და ანტისაბჭოთა გაერთიანებული ტროცკისტული ბლოკის სხვა მეთაურები ამ პროგრამას, დაჟინებით უარჰყოფდნენ რამის არსებობას. ამ პროგრამას მალავდნენ „პარალელური" ცენტრის მეთაურებიც — ტროცკი, პიატაკოვი, რადეკი, სოკოლნიკოვი და სხვები.

როგორც რადეკი აჩვენებდა, ტროცკი მიუთითებდა, რომ „ახლა საჭირო არ არის ბლოკის რიგითი წევრების წინაშე საპროგრამო საკითხების მთელი სიგრძე-სიგანით დაყენება, შეშინდებიანო"...

მაგრამ შეიძლება ყველაფერი ეს მონაგონი იყოს? შეიძლება, ისინი ამ პროგრამის არსებობაზე ასე უბრალოდ იმიტომ ლაპარაკობენ, რომ მათ სურთ მონანიებულ ცოდვილთა კომედია გაითამაშონ? შეიძლება, ტროცკის ასეთი გეზი არასოდეს არც მიუცია?

მაგრამ, ამხანაგო მოსამართლენო, თქვენ იცით, ყველამ იცის, რომ საზღვარგარეთ ტროცკი სცემს ეგრეთწოდებულ „ოპოზიციის ბიულეტენს", და თუ თქვენ აიღებთ ამ „ბიულეტენის" 1930 წლის აპრილის № 10-ს, დაინახავთ, რომ იქ არსებითად იგივეა დაბეჭდილი:

„...უკანდახევა, სულერთია, აუცილებელია. უნდა მოვახდინოთ იგი რაც შეიძლება ადრე...

...უნდა შევაჩეროთ „მთლიანი" კოლექტივიზაცია...

...უნდა შევწყვიტოთ ინდუსტრიალიზაციის საპრიზო ღოღი.

გამოცდილების საფუძველზე უნდა გადავსინჯოთ ტემპების საკითხი...

...უნდა ხელი ავიღოთ ჩარჩაკეტილი მეურნეობის „იდეალებზე" უნდა დავამუშაოთ გეგმის ახალი ვარიანტი რომელიც გაითვალისწინებს რაც შეიძლება უფრო ფართო ურთიერთმოქმედებას მსოფლიო ბაზართან...

...უნდა მოვახდინოთ საჭირო უკანდახევა, შემდეგ კი სტრატეგიული გადაიარაღება...

...უკრიზისებოდ და უბრძოლველად თანამედროვე წინააღმდეგობიდან გამოსვლა შეუძლებელია..."

1933 წელს ლ. ტროცკი მოითხოვდა:

ა) კოლმეურნეობათა, მეტი ნაწილის, როგორც ყალბისა, დაშლას;

ბ) საბჭოთა მეურნეობების, როგორც არარენტაბელურის, დაშლას;

გ) კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე ხელისაღებას;

დ) დაბრუნებას საკონცესიო პოლიტიკისაკენ და მთელ რიგ ჩვენ სამრეწველო საწარმოთა, როგორც არარენტაბელურთა, საკონცესიოდ გადაცემას.

ეს პროგრამა არა თუ გამოხატავდა ტროცკისტ კონტრრევოლუციონერთა შეხედულებებს, იმედებსა და ზრახვებს, არამედ, როგორც გამოძიებით გამორკვეულია, წარმოადგენდა უცხოეთის აგრესორებთან ტროცკისტთა შეთანხმების საფუძველსაც, — აგრესორებთან, რომლებსაც თვალი რჩებათ საბჭოთა მიწა-წყალზე. გამცემნი მიდიოდნენ ყველაფერზე, სამშობლო მიწა-წყლის წვრილ-წვრილად გაყიდვაზედაც კი. ისინი წავიდნენ ყველაზე უფრო შავ ღალატზე, ისინი დაეცნენ სულ უკანასკნელ დენიკინელზე თუ კოლჩაკელზე უფრო დაბლა. უკანასკნელი დენიკინელი თუ უკანასკნელი კოლჩაკელი ამ გამცემლებზე უფრო მაღლა დგას. დენიკინელები, კოლჩაკელები, მილიუკოველები ისე დაბლა არ დაცემულან, როგორც ეს ტროცკისტი იუდები, რომლებმაც სამშობლო გაყიდეს 30 ვერცხლად, ისიც ყალბ ვერცხლად, ცდილობდნენ რა ჩვენი ქვეყანა ჩაეგდოთ უცხოეთის კაპიტალის მონობაში. ეს —ფაქტებია.

განა საკვირველია, რომ გამცემლობის ამნაირ პროგრამას უარყოფს ჩვენი ხალხი, რომ, თუ ამ პროგრამით ვინმე წავიდოდა ჩვენს ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, ჩვენს წითელარმიელთა ყაზარმებში აგიტატორს დაუყოვნებლივ ხელს სტაცებდნენ და პირველ შეხვედრილ ჭიშკარზე ჩამოაღრჩობდნენ. ახი იქნებოდა კიდეც, ვინაიდან, საღრჩობელის გარდა, მოღალატეებს არ შეიძლება სხვა ხვედრი ჰქონდეთ. ეს არის შავი ღალატის პროგრამა. მას ჩვენ ვუპირისპირებთ ჩვენს პროგრამას—საბჭოთა მთავრობის პროგრამას.

ამაო იქნებოდა საქმე ისე დაგვეხატნა, თითქოს აქ მიმდინარეობდეს ბრძოლა, დავა ორ ფრაქციას შორის, რომელთაგან ერთს ბედი ეწია, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, ხოლო მეორეს ბედმა უმტყუნა, „ჩაფლავდა", და იგი ხელისუფლებას სათავეში ვერ ჩაუდგა.

აქ სწარმოებს სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა ორ პროგრამას, პრინციპთა ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო სისტემას, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ მიმართულებებს, შეხედულებებს შორის, რომლებიც ამ პრინციპებს გამოხატავენ.

ტროცკისტთა ამ შავ პროგრამას ჩვენ ვუპირისპირებთ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ლიკვიდაციის, კაპიტალიზმის ყველა ნაშთთა ლიკვიდაციის პროგრამას. მთელი საბჭოთა ქვეყანა, მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, ჩვენი დიადი პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის სტალინის ხელმძღვანელობით გმირულად იბრძვის ამ პროგრამისათვის, დაუღალავად შრომობს ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, თავისუფლების განმტკიცებისათვის და ჩვენი საზღვრებისა და ჩვენი მიწა-წყლის ხელუხლებლობისათვის.

ერთი დიადი მისწრაფებით რანაირიც გაუგონარია მეფის რუსეთის ისტორიის წარსულში და რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოში, საბჭოთა პატრიოტიზმის მისწრაფებით, სსრ კავშირის მშრომელთა გმირული ხელით შენდება ჩვენი ახალი სოციალისტური სამშობლო. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი შეპყრობილია ისტორიაში უმაგალითო ენტუზიაზმით, რომელიც სასწაულებს ახდენს. ძლიერია ჩვენი სიყვარული სამშობლოსადმი, ჩვენი სამშობლო ქვეყნისადმი!..

და აი, ამხანაგო მოსამართლენო, თქვენს წინაშე სხედან ადამიანები, რომლებმაც განიზრახეს უცხოეთის ხიშტების დახმარებით ჩაეგდოთ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ მონობაში. ამ და მათ მსგავს ადამიანებზე სწერდა ერთ დროს ლენინი, რომ ესენი არიან „ლაქიები და ქამები, რომლებიც აღშფოთების, ზიზღისა და სიძულვილის კანონიერ გრძნობას იწვევენ". აი, ეს ადამიანები, კაპიტალიზმის ეს ლაქიები და ქამები ცდილობდნენ ტალახში ამოესვარათ ჩვენი ნაციონალური, ჩვენი საბჭოთა პატრიოტული სიამაყის დიადი და წმინდა გრძნობა, უნდოდათ შეებილწათ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ხალხის მიერ თავისუფლებისათვის გაღებული მსხვერპლი, მათ უღალატეს ჩვენს ხალხს, გადავიდნენ მტრის მხარეს, აგრესორთა და კაპიტალიზმის აგენტთა მხარეს. ჩვენი ხალხის რისხვა მოსპობს, ნაცარტუტად აქცევს მოღალატეებს და აღგვის მათ პირისაგან მიწისა...

ტროცკისტული ცენტრის პორაჟენცული პოზიცია — ომის პროვოკაცია

როგორც ეს წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს დადასტურდა, ანტისაბჭოთა ტროცკისტულ ცენტრს თავისი პროგრამის ერთერთ პუნქტად ჰქონდა გეზი ომის დაჩქარებისა და ამ ომში საბჭოთა კავშირის დამარცხებისა. ხოლო ომისა და დამარცხების შემწეობით — ხელისუფლების სათავეში მოქცევა, ძალაუფლების დაპყრობა და მისი გამოყენება კაპიტალისტური რესტავრაციის დასაბრუნებლად.

პიატაკოვთან საუბრის დროს 1935 წლის დეკემბერს, ტროცკი, პიატაკოვის სიტყვით, პირდაპირ ლაპარაკობდა ომის გარდაუვალობაზე უახლოესავე დროს. ჩვენ ეს აქ შევამოწმეთ, რამდენადაც შესაძლებელი იყო. ასახელებდნენ თარიღს—1937 წელს.

აქ მე არ შემიძლია არ მოვიხსენიო ერთი გარემოება, რომელიც გუშინ განხილულ იქნა დახურულ სხდომაზე.

სწორედ ტროცკის ამ მიზანდასახულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, როგორც სჩანს, დაკავშირებით იმ ერთი სახელმწიფოს სათანადო კომპეტენტური წრეებისა და დაწესებულებათა მიზანდასახულებასთან, რომელთანაც ტროცკის მოლაპარაკება ჰქონდა — 1937 წლის თარი-

გაგრძელება იხ. მე-4 გვ.

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის—სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

გაგრძელება

ლი არჩეული იყო იმ პირობით, რომ ნამდვილად განეხორციელებინათ ამ დროისთვის ის აუცილებელი ღონისძიებანი, რომლებსაც უნდა მოემზადებინა სსრ კავშირის დამარცხების გარდუვალობა.

გუშინ, სასამართლოს დახურულ სხდომაზე პიატაკოვმა და რატაიჩაკმა დაწვრილებით განმარტეს, თუ რა გააკეთეს მათ იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ ჩვენი დამარცხება 1937 წელს ომის დაწყების შემთხვევაში და, კერძოდ, ჩვენი არმიისათვის თავდაცვის აუცილებელ საშუალებათა მიწოდების საქმეში. გუშინ, მათ დაგვანახვეს, თუ რაოდენად ღრმად და რა საოცრად საზიზღარი იყო მათი გეგმა მტრის ხელში ჩვენი ქვეყნის გადაცემისა. დაგვანახვეს, თუ როგორ უნდოდათ მათ თავიანთი გეგმის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან და საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში ყველაზე საშიშ პერიოდში — განეიარაღებინათ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი.

ახლა განაგები ხდება, თუ რისთვის იყო მათი გეგმები შეგუებული იმასთან, რომ სწორედ 1937 წელს ჩავეგდეთ ჩვენ მძიმე მდგომარეობაში თავდაცვითი მნიშვნელობის ზოგიერთ ღონისძიებათა დარგში.

სწორედ 1937 წლისათვის იყო ნავარაუდევი ის საშინელი ბოროტმოქმედება, რომელიც გუშინ დადასტურდა სასამართლოს დახურულ სხდომაზე. სწორედ 1937 წლისათვის იყო აღებული ძირითადი გეზი დამარცხებისაკენ.

ლ. ტროცკი და ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრი ყოველნაირად, მათთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით ცდილობდნენ დაეჩქარებინათ აგრესორთა თავდასხმა სსრ კავშირზე.

„დააჩქარონ შეტაკება — პროვოკაციულად გამოიწვიონ ომი, მოამზადონ სსრ კავშირის დამარცხება" — აი რაში მდგომარეობდა ტროცკისტული „ცენტრის" პროგრამა, ასე ვთქვათ, საგარეო პოლიტიკის დარგში.

დივერსიებისა და მავნებლობის ორგანიზაცია და მოხდენა

რადეკმა და პიატაკოვმა სასამართლოში დაადასტურეს, რომ სამხედრო დამარცხების მომზადების მხრივ მთავარ მეთოდს „ცენტრის" მონაწილე-მოღალატეთა ხელში წარმოადგენდნენ მავნებლური ღონისძიებანი და დივერსიები.

პიატაკოვი აჩვენებდა, რომ ტროცკი მასთან შეხვედრის დროს განმარტავდა, რომ იმ შეთანხმების ერთერთი პუნქტი, რომელიც ტროცკიმ გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებთან დასდო, იყო ვალდებულება.

„...სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიის ომის დროს... დავიკავოთ პორაჟენცული პოზიცია, გავაძლიეროთ დივერსიული მუშაობა. განსაკუთრებით სამხედრო მნიშვნელობის საწარმოებში... ვიმოქმედოთ ტროცკის მითითებებით, რომელიც შეთანხმებულია გერმანიის გენერალურ შტაბთან".

ასრულებდა რა ამგვარად ნაკისრ ვალდებულებებს, „პარალელურმა", ანუ უბრალოდ—ანტისაბჭოთა ტროცკისტულმა ბლოკმა ჩვენი კავშირის მთელ რიგ საწარმოებში ნამდვილად მოაწყო, როგორც ეს გამოძიებით დადასტურდა, ფართო სისტემა მავნებლური მუშაობისა და დივერსიებისაც კი, რომლებიც ტარდებოდა მათ მიერ სპეციალურად ორგანიზებული დივერსიული და მავნებლური ჯგუფების საშუალებით.

იყვნენ სპეციალური ადამიანები, რომელთა მისამართებით იგზავნებოდნენ საზღვარგარეთიდან ჩამოსული მზვერავები. ამ მზვერავებს ანაწილებდნენ განსაზღვრული გეგმით, მათ გზავნიდნენ სწორედ იქ, სადაც როგორც პიატაკოვი და ტროცკი ამბობდნენ, საჭირო იყო ყველაზე მგრძნობიარე დარტყმა.

ცენტრში პიატაკოვი თავისთვის იტოვებს დივერსიული და მავნებლური მუშაობის ხელმძღვანელობას. რკინიგზაზე, ტრანსპორტზე მავნებლობისა და დივერსიების ხელმძღვანელობა ევალება სერებრიაკოვს, მასთან ერთად კნიაზევს, ტუროკს, ბოგუსლავსკის.

ბუნებრივია, რომ მავნებლური ცენტრი უდიდეს ყურადღებას აქცევდა კუზბასს, კერძოდ, კემეროვოს. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ დასავლეთ ციმბირში იქმნება საკმაოდ ძლიერი სამხარეო ცენტრი, რომელშიც შედიან ნაცადი ტროცკისტები: მურალოვი, დრობნისი და ბოგუსლავსკი. პიატაკოვი თავის უახლოეს თანაშემწეებად იახლოვებს — რატაიჩაკს, ნორკინს; მურალოვი და დრობნისი ეყრდნობიან შესტოვსა და სტროილოვს.

ძირითად მავნებლური და დივერსიულ ძალთა განლაგებას ახდენენ საკმაო მოხერხებითა და განსაზღვრული გეგმით. ძირითად მავნებლურ და დივერსიულ აქტივს არ აქუცმაცებენ, ახდენენ მის კონცენტრაციას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ წვრილმანს ზუსტად აღრიცხავენ. ყველაფრის აწონდაწონა ხდებოდა „პატრონის თვალით", თუ ამ სიტყვას ვიხმართ პატრონის ცნების დაცვის აზრით.

პიატაკოვი — ისეთი ადამიანია, რომელიც ცხოვრობს ორმაგი ცხოვრებით. იგი ყველაფერს, მავნებლურსა და დივერსიულ აქტსაც კი, უდგება ანგარიშით, გაანგარიშებით, მოფიქრებით, თუ რა რისთვის, რა და როდის; მოქმედებს არა ისე უბრალოდ, პარტიზანულად. პიატაკოვი — პარტიზანშჩინის მტერია ტერორის დარგშიც, მავნებლობის დარგშიც, დივერსიის დარგშიც. იგი მოქმედებს მტკიცე სამეურნეო ანგარიშით: მავნებლობა გასწიოს იქ, მაშინ, ისე და იმდენი, სადაც, როდესაც, როგორ და რამდენსაც ამაში მას გარემოებანი დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ.

სამართლიანად უნდა ითქვას, რომ პიატაკოვი ახერხებდა საგრძნობი ლახვარი ჩაეცა ნამდვილად მგრძნობიარე ადგილებში.

ჩვენი ისტორია იცნობს მრავალ დანაშაულს მუშათა ხელისუფლების წინააღმდეგ, პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ. ჩვენს ისტორიაში ჩაწერილია საბჭოების წინააღმდეგ აომხედრებულ შეთქმულებათა საზიზღარი ფურცლები. ჩვენ გვახსოვს „შახტის საქმე" და ჩვენი თვალის წინ ცოცხალ მოწმეებივით გაელილი სასამართლო პროცესები, ჩვენ გვახსოვს „პრომპარტიის" საქმე, „ს.-დ. მენშევიკთა საკავშირო ბიუროს" საქმე. მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მავნებლობის, ცინიზმისა და საზიზღარი დივერსიული პრაქტიკის ხელოვნებაში ტროცკისტებმა შორს მოიტოვეს უკან თავიანთი წინამორბედნი, რომ ამ დარგში მათ გადააჭარბეს ყველაზე უფრო გაუსწორებელ და პირწავარდნილ დამნაშავეებს. თუ პიატაკოვს შევადარებთ მის წინამორბედთ ამ დარგში, ვფიქრობ, რომ მის წინამორბედთა ფიგურები დაიჩრდილებიან იმ გამცემლურ, დანაშაულებრივ მოქმედებათა ძალისა და სიღრმის წინაშე, რომელთა განხორციელება შესძლო პიატაკოვმა, ჰფარავდა რა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას თავისი მაღალი მდგომარეობით მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში.

აწყობდა რა მავნებლურ დივერსიულ აქტებს, ტროცკისტული ანტისაბჭოთა ცენტრი არსებითად ერთდაიმავე დროს სწყვეტდა ორ ამოცანას: ერთი ამოცანა — ძირი გამოეთხარა საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო ძლიერებისთვის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობისთვის, მეორე ამოცანა — გამოეწვია მუშებში, მშრომელებში, მოსახლეობაში გაბოროტება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხალხი წაესისინებინა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამხანაგო მოსამართლენო! სასამართლოში ჩვენს თვალ წინ გაიარა რამდენიმე მძიმე სურათმა, რომლებიც ახლა უნდა აღვადგინო თქვენს მეხსიერებაში. უნდა აღვადგინო აფეთქება „ცენტრალნაიას" შახტში, რასაც მოჰყვა 10 მუშის დაღუპვა და 14 მუშის მძიმედ დაჭრა. მე უნდა მოგაგონოთ აგრეთვე მარცხი სადგ. შუმიხაში, რასაც მოჰყვა 29 წითელარმიელის სიკვდილი და კიდევ 29 წითელარმიელის დაჭრა.

დამახასიათებელია, რომ სჩადიოდნენ რა დანაშაულობას, შეთქმულნი ძალიან გულგრილად და მოფიქრებით ჰფარავდნენ თავის კვალს, ცდილობდნენ ამ კვალის დაფარვას. ჩვენ ვნახეთ, თუ კემეროვოში სევერნი ხოდკის რაიონის მე-6 უბანზე 1935 წლის დეკემბერში მუშათა მოწამვლის გამო მავნებლური ტროცკისტული ორგანიზაციის წევრებმა პეშეხონოვმა და სხვებმა როგორ შეადგინეს სპეციალური აქტი, რომელმაც დაჰფარა ამ მოწამვლის წინასწარი განზრახვის ხასიათი. აქ კი, სასამართლოში კნიაზევი და ტუროკი იძულებული იყვნენ დაედასტურებინათ, რომ მთელი რიგი მათ მიერ მოწყობილი მარცხი რკინიგზაზე დაუსჯელი დარჩა, იმიტომ, რომ ისინი ცინიკური ოსტატობით საკმაო წარმატებით სპობდნენ კვალს.

ჩვენ ვიცით, რომ ეს ადამიანები არა თაკილობდნენ იმას, რომ აშკარად ყალბი, აშკარად არასწორი ცნობები მიეცათ საგამომძიებლო ორგანოებისათვის იმათ შესახებ, ვინც მათ მიერ მოწყობილ მარცხებში იყვნენ დამნაშავენი, რომ ისინი ახერხებდნენ ბრალი დაედოთ სრულიად უდანაშაულო ადამიანებისათვის, როგორც ეს მოიმოქმედეს მეისრე ჩუდინოვის მიმართ.

იმისათვის, რომ მთელი სისრულით შევაფასოთ ამ დანაშაულთა მთელი უზომო საშინელება, საჭიროა მხედველობიდან არ გავუშვათ არა მარტო ის, რომ ეს დანაშაულნი ჩადენილია, არამედ ისიც, რომ ისინი ჩაიდინეს იმ ადამიანებმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების დაცვა ყოველგვარი ხელყოფისაგან. რატაიჩაკი, რომელსაც პირველ რიგში უნდა დაეცვა ჩვენი ქიმიური მრეწველობა ყოველგვარი ხელყოფისაგან და დაეცვა ყოველგვარი ზიანისაგან, ეს კაცი გამცემლობას ეწევა. იგი მოქმედებს, როგორც პირდაპირი მოღალატე: ასეთი დანაშაულისათვის ომის პირობებში მას ალაგობრივვე დახვრეტდნენ, დაუყოვნებლივ მოსპობდნენ.

ანალოგიურ დივერსიულ აქტებს რატაიჩაკის დავალებით ტროცკისტული ორგანიზაცია ახდენს კავშირის სხვა ქიმიურ საწარმოებშიც. ამ აფეთქებათა დივერსიული ხასიათი გამორკვეულია და აღიარებულია ბრალდებულების მიერაც და მოწმეთა ჩვენებითაც, და ბოლოს, სპეციალური ტექნიკური ექსპერტიზითაც, რომელმაც აქ ყველაფერი საბოლოოდ გამოაშკარავა და არავითარი ეჭვი არ დატოვა, რომ ლაპარაკია ნამდვილად დივერსიებზე.

ტროცკისტულმა ცენტრმა მოაწყო საკმაოდ ფართო განშტოებული მავნებლური და დივერსიული ღონისძიებანი **რკინიგზის ტრანსპორტზედაც**. კომმარულ დანაშაულთა ამ ჯაჭვში აქტიურ როლს ასრულებდნენ ლივშიცი, ტუროკი, კნიაზევი და ბოგუსლავსკი. მაგრამ აქაც არ შემიძლიან არ გამოვყო ლივშიცი. მართლაც, ლივშიცი იყო არა მარტო რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკი, არა მარტო გზათა სახალხო კომისარიატის ერთერთი პასუხისმგებელი მუშაკი, ლივშიცი იყო გზათა სახალხო კომისრის მოადგილე. ამ მხრივ იგი არაფრით არ განირჩევა პიატაკოვისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მისი როლი პიატაკოვთან შედარებით მეორეხარისხოვანი იყო. როცა ჩვენი მრეწველობა და რკინიგზის ტრანსპორტი ამხანაგების სერგო ორჯონიკიძის და ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის ბრწყინვალე ხელმძღვანელობით, ლახავდნენ რა ყოველგვარ სიძნელეს, დღითიდღე, თვიდან თვემდე, წლითი-წლობით სულ აღმავალი გზით მიდიოდნენ, სწორედ ამ დროს ისინი, ვინც მოწოდებული იყო ხელი შეეწყო მათთვის, უტიფრად და გამცემლურად ატყუებდნენ მათ, გვატყუებდნენ ჩვენ ყველას, ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს.

აი რატომ ვფიქრობ, რომ პიატაკოვის, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილის მიმართ, ლივშიცის, გზათა სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილის მიმართ და სოკოლნიკოვის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილის მიმართ — ამ სამი პირის, როგორც ისეთ პირთა მიმართ, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ განსაკუთრებული ნდობით, განსაკუთრებული სახელმწიფო პასუხისმგებლობით ჩვენი ქვეყნის წინაშე, — სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას განსაკუთრებულად. მაშინაც კი, რომ მათ არ მიუძღოდეთ სხვა საშინელი დანაშაულნი.

ბრალდებულმა კნიაზევმა „პარალელური" ტროცკისტული ცენტრის პირდაპირი დავალებით მოაწყო და განახორციელა მატარებლების, უმთავრესად სამხედრო მატარებლების, მთელი რიგი მარცხი, რასაც თან სდევდა ადამიანთა მსხვერპლი საგრძნობი რაოდენობით. მოწყობილი იქნა მარცხი სადგურ შუმიხაზე, სადაც **29 წითელარმიელი დაიღუპა და 29 წითელარმიელი დაშავდა**, მარცხი იახინო-უსტკატავის გადასარბენზე. სამხედრო მატარებლების მარცხი, საქონლის მატარებლების მარცხი. კნიაზევმა ისინი მოაწყო, როგორც ეს გამოირკვა, არა მარტო „პარალელური" ტროცკისტული ცენტრის და, კერძოდ, ლივშიცის დავალებითა და მითითებებით, არამედ ერთერთი უცხო სახელმწიფოს აგენტის, — იაპონიის დაზვერვის აგენტის ბატონ ხ... პირდაპირი დავალებითაც, რომელიც ნამდვილად იყო კნიაზევისა და ტუროკის დანაშაულებრივი მოქმედების ერთერთი მამოძრავებელი ზამბარა.

დამნაშავენი თავხედობითა და ცინიზმით მოქმედებდნენ. მათზე ერთგვარ გავლენას ახდენდა მათი მდგომარეობა, რაც საშუალებას აძლევდა მათ ეფიქრათ, რომ ისინი იმდენად მტკიცედ არიან დაკონსპირირებულნი და შენიღბულნი, რომ ბოლომდე ვერ იქნებოდნენ მხილებულნი. მართლაც, როგორ შესძლეს მათ შედარებით დიდიხნის განმავლობაში ჩაედინათ ეს დანაშაულნი და დაუსჯელი დარჩენილიყვნენ? ეს, რა თქმა უნდა, კანონიერი კითხვაა. დიაღ, ეს დანაშაულნი შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ მათ ახდენდნენ იმათ საფარქვეშ, ვისაც პირველს უნდა აეტეხა განგაში, მიეცა სიგნალი და გადაშვებულიყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ამგვარ დანაშაულთა წინააღმდეგ. ამით აიხსნება ყველაფერი.

მაგრამ მე მეორე კითხვას დავაყენებ: მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობას აი ასეთი ჯაშუშები და მზვერავები მიეტმასნენ, როგორიცაა რატაიჩაკი, აი ასეთი გამცემლები და მოღალატეები, როგორიცაა ლივშიცი ან პიატაკოვი, როგორ მოხდა, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, ამაო გამოდგა მათი ცდები — ძირი გამოეთხარათ მრეწველობის ძლიერებისათვის, შეესუსტებინათ თავდაცვის მრეწველობის ძალები, შეერყიათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარი? ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კითხვაა და მას ზუსტი და ამომწურავი პასუხი უნდა გავცეთ.

დიაღ, განსაზღვრულ პერიოდში, განსაზღვრულ მომენტში, განსაზღვრულ უბნებზე ჩვენ გვქონდა სიძნელეები, მაგრამ, მავნებლურ და დივერსიულ დარტყმათა მიუხედავად ჩვენი მრეწველობა და ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტი განუწყვეტლივ აღმა მიდის, სულ უფროდაუფრო მაღლა იწევს.

მიუხედავად მავნებლობისა, მიუხედავად დივერსიებისა, მზვერავთა და დივერსანტთა ხელით ასობით საუკეთესო სტახანოველების დაღუპვისა, მიუხედავად სისტემატურად და გეგმაშეზომილად გატარებული ღონისძიებებისა სტახანოვური მოძრაობის შეგნებულად ჩაშლისათვის, — ჩვენი მრეწველობა მძაფრად იზრდება და გადაჭარბებით ასრულებს თავის საწარმოო გეგმებს.

მავნებლების მხარეზე ერთეულები დგანან. ამ ერთეულების მიერ მოყენებულ ზიანს სწრაფად ულევენ ბოლოს მილიონები. საბჭოთა მთავრობის და სოციალიზმის მშენებლობის მხარეზე მილიონები დგანან.

შპიონაჟი და ტერორი

სასამართლოს წინასწარი გამოძიების მასალით და ბრალდებულების რატაიჩაკის, კნიაზევის, პუშინის, ტუროკის, გრაშეს, შესტოვის, სტროილოვის საკუთარი აღიარებით გამორკვეულია, რომ, დივერსიულ-მავნებლურ საქმიანობასთან ერთად, ტროცკისტული ანტისაბჭოთა ცენტრი ფართოდ და სისტემატურად ეწეოდა შპიონაჟს უცხოეთის დაზვერვის სასარგებლოდ. იაპონიის და გერმანიის დაზვერვასთან კავშირის გაბმა ხორციელდებოდა არა ვილაც ტუროკის ან შესტოვის პირადი ინიციატივის წესით. ეს კავშირი ხორციელდებოდა ტროცკის დირექტივის შესრულების წესით. ის ადამიანები, რომლებიც უცხოეთის — გერმანიისა და იაპონიის დაზვერვებს დაუკავშირდნენ ტროცკისა და პიატაკოვის ხელმძღვანელობით, თავიანთი ჯაშუშური მუშაობით ამზადებდნენ ისეთ შედეგებს. რომლებსაც უმძიმესი გავლენა უნდა მოეხდინათ არა მარტო ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებზე, არამედ იმ მთელი რიგი სახელმწიფოების ინტერესებზედაც, რომლებსაც ჩვენთან ერთად სურთ მშვიდობიანობა, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძვიან მშვიდობიანობისათვის.

ამხანაგმა სტალინმა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე, ამხანაგ ხოზე დიასის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში სთქვა, რომ „საბჭოთა კავშირის მშრომელები მხოლოდ თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, როდესაც შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევენ ესპანეთის რევოლუციურ მასებს. ისინი, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — ანგარიშს აძლევენ თავის თავს, რომ ესპანეთის განთავისუფლება ფაშისტ-რეაქციონერთა ჩაგვრისაგან არ არის ესპანელთა კერძო საქმე, არამედ მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის საერთო საქმეა". და მეც მინდა გთხოვოთ თქვენ, ამხანაგო მოსამართლენო, რომ თქვენც, როცა ამ საქმის ყველა გარემოებას ასწონ-დასწონით და ბრალდებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა მნიშვნელობას შეაფასებთ, აგრეთვე მიუდგეთ ამ საქმეს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ჩვენ უაღრესად დაინტერესებული ვართ იმით, რომ ყოველ ქვეყანაში, რომელსაც მშვიდობიანობა სურს და მშვიდობიანობისათვის იბრძვის, მათი მთავრობების გადამწყვეტ ზომებით შესწყდეს ყოველგვარი ცდა დანაშაულებრივი ჯაშუშური, დივერსიული, ტერორისტული მუშაობისა, რომელსაც აწყობენ მშვიდობიანობის მტრები, დემოკრატიის მტრები, ფაშისტთა შავბნელი ძალები, რომლებიც ამზადებენ ომს, ლამობენ ააფეთქონ მშვიდობიანობის საქმე და, მაშასადამე, მთელი მოწინავე, მთელი პროგრესიული კაცობრიობის საქმე.

საბრალდებო დასკვნა ბრალდებად უყენებს ტროცკისტული ცენტრის წევრებსა და მათ თანამონაწილეებს ტერორისტული აქტების მოწყობას.

აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ ძირითად და ზოგად საკითხზე. დამტკიცებულია, რომ ტროცკისტული ანტისაბჭოთა ცენტრის პროგრამაში იდგა ტერორი, რომ ეს ტერორი საქმით ტარდებოდა.

ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ტროცკიმ, ყოველ შემთხვევაში ორჯერ და მასთან საკმაოდ აშკარად, არავუალირებული ფორმით მისცა გეზი ტერორისაკენ, — დოკუმენტები, რომლებიც მათმა ავტორმა მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაქვეყნა. მე მხედველობაში მაქვს, ჯერ-ერთი, 1932 წლის ის წერილი, რომელშიაც ტროცკიმ გადმოისროლა თავისი გამცემლური, სამარცხვინო მოწოდება, — „თავიდან მოვიშოროთ სტალინიო" და მეორე — მხედველობაში მაქვს დოკუმენტი, რომელიც უკვე უფრო გვიან პერიოდს შეეხება, — ტროცკისტული „ოპოზიციის ბიულეტენი" № № 36-37, 1934 წ. ოქტომბერი, სადაც ჩვენ ვპოულობთ მთელ რიგ პირდაპირ მითითებებს ტერორზე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის მეთოდზე.

ამ სტატიაში, რომელსაც ნაპროგრამო ხასიათი აქვს, არის თავი, რომელშიაც ნათქვამია: „შესაძლებელია თუ არა ბიუროკრატიის მოხსნა მშვიდობიანი გზით?" ტროცკი და ტროცკისტები ჩვენს საბჭოთა აპარატს ბიუროკრატიულ აპარატად სთვლიან.

აქ ნათქვამია:

„აიღეთ არამცირემნიშვნელოვანი საკითხი, თუ როგორ მივუდგეთ საბჭოთა სახელმწიფოს რეორგანიზაციას?""

როგორ მივუდგეთ საბჭოთა სახელმწიფოს რეორგანიზაციას და შესაძლებელია თუ არა ამ ამოცანის მშვიდობიანი საშუალებით გადაჭრა? სავსებით ნათელი დაყენებაა საკითხისა. ტერორის, ძალადობის მოწინააღმდეგეს უნდა ეთქვა: დიაღ, შესაძლებელია მშვიდობიანი საშუალებით, ვთქვათ, კონსტიტუციის საფუძველზეო.

ხოლო რას ამბობენ ტროცკი და ტროცკისტები? ისინი ამბობენ ასე:

„ბავშვობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ სტალინური ბიუროკრატიის მოხსნა შეიძლება პარტიული ან საბჭოთა ყრილობის შემწეობით. მმართველი ხროვის (როგორც ისინი ჩვენს მთავრობას ცილისმწამებლურად უწოდებენ) თავიდან მოსაშორებლად არ დარჩენილა არავითარი **ნორმალური** კონსტიტუციური გზები".

„მხოლოდ ძალით შეიძლება ვაიძულოთ ისინი გადასცენ ძალაუფლება პროლეტარული ავანგარდის ხელში" (ისინი ლაპარაკობენ თავიანთ თავზე, როგორც ავანგარდზე. ალბათ, მხედველობაში ჰყავთ ამ ვაჟბატონების მსგავსი „ავანგარდი", რომელიც ეწეოდა მკვლელობებს, დივერსიებსა და შპიონაჟს).

ამასთან სიტყვა „ძალით", — როგორც ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ, აწყობილია შავი შრიფტით. საკითხი ნათლად არის დაყენებული! მშვიდობიანი საშუალებანი? მშვიდობიანი საშუალებანი უძლურია. ერთადერთი საშუალებაა ძალა, ძალით თავიდან მოშორება. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ როგორ იშორებენ ძალით თავიდან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ ეს ძალა დასტოვონ ისეთი „ავანგარდის" ხელში, როგორიც არიან აი ეს ვაჟბატონები. **(სიცილი)**.

იმას, რაც ახლა მე აქ მოვიყვანე, — რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა პირდაპირი მოწოდება ძალადობისაკენ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჩვენი ხელმძღვანელების წინააღმდეგ? რა უნდა ვუწოდოთ მას, თუ არა პირდაპირი მოწოდება ტროცკისაკენ?

ამისათვის სხვა სახელწოდების მიცემა მე არ შემიძლია.

ჩვენს წინაშე სხედან ტერორისტები, რომლებიც აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს არა მარტო თვითონ, არამედ ტროცკისტულ - ზინოვიევურ ბლოკთან შეთანხმებით, რომელთანაც მათ ერთგვარი კონკურენცია ჰქონდათ. შეხედეთ: გაერთიანებული ზინოვიევურ - ტროცკისტული ცენტრის სასამართლოს სხდომების გამოქვეყნებული ოქმები მოწმობენ, რომ ზინოვიეველებს მიერეკებოდა იმის შიში, რომ ტროცკისტებს თავიანთ დანაშაულებრივ მუშაობაში შეუძლიათ მათი „გასწრება". განა ამ პროცესზედაც ჩვენ იგივე არ გვესმის? განა ტროცკისტები „პარალელური" ცენტრიდან არ სთვლიდენ თავიანთ ამოცანად, როგორც აქ რადეკმა აღიარა, ხელში ჰყოლოდათ ზინოვიეველები, საშუალება არ მიეცათ ზინოვიეველებისთვის ჩამოეცილებინათ ისინი ხელისუფლებისაგან იმ მომენტში, როდესაც ისინი პორტფელებს გაინაწილებდნენ. ამ „ავანგარდს" პორტფელები სიზმარშიაც ელანდებოდა. რადეკს — საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი, რატაიჩაკს—ალბათ სარწმუნოებათა მინისტრის პორტფელი **(დარბაზში სიცილი)** იმიტომ, რომ იგი აჩვენებდა, თავის თავს დღემდეც შებოჭვილად ჰგრძნობს იმ ფიცით, რომელიც მან სადღაც ვიღაცას მისცა. ხოლო პიატაკოვისთვის უნდა მიეცათ (ჩვენ ეს ვიცით) სამხედრო მინისტრისა და საერთოდ მთელი შეიარაღებული, სახმელეთო (საზღვაო ძალები მათ არ ჰყავდათ) და—მე მხედველობაში მყავს „ძველი მფრინავი" რატაიჩაკი — საფრენოსნო ძალთა მთავარსარდლის პოსტი. **(დარბაზში სიცილი)**. ცენტრმა მოაწყო ტერორისტული ჯგუფების ქსელი. პიატაკოვს ჰყავდა ლოგინოვი, გოლუბენკო და სხვები. რადეკს — პრიგოჟინი და სხვები; სოკოლნიკოვს—ზაქს-გლადნევი, ტიველი და სხვები; სერებრიაკოვს — მას ჰყავს თავისი ჯგუფი — მდივანი; დრობნისს—ვიღაც პოდოლსკაია, რომელიც აგრეთვე ამზადებდა ტერორისტულ აქტს. დრობნისს ჰყავდა თავისი ჯგუფი. მურალოვს —ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ის ხომ ყოფილი სარდალია, აბა უარმიოდ როგორ იქნება? შესტოვსაც კი, წარმოიდგინეთ, ჰყავდა თავისი ჯგუფი — არნოლდი და კომპანია, ჯგუფი არც თუ ისე ცუდი მისი ამოცანების თვალსაზრისით. მართალია, გარეგნულად იგი—არც თუ პრეზენტაბელური იყო, მაგრამ პრაქტიკულად შეეძლო ემოქმედნა.

პიატაკოვი ამზადებს ტერორისტულ აქტს თავისი უკრაინელი წარმომადგენლების მეშვეობით ამხ. პოსტიშევისა და კოსიორის წინააღმდეგ, ხოლო 1935 წელს — ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ. ამის თაობაზე ჩვენ დავკითხეთ პიატაკოვს, ჩვენ გამოვიხმეთ ლოგინოვი დასაკითხავად როგორც მოწმე, და მან ეს დაადასტურა. რადეკი ამზადებს ტერორისტულ კადრებს ლენინგრადში; ზაქს-გლადნევი და სხვები სოკოლნიკოვის ხელმძღვანელობით ამზადებენ ტერორისტულ აქტს ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ; მდივანი, სერებრიაკოვის ხელმძღვანელობით, ამზადებს ტერორისტულ აქტს ამხანაგ ბერიას წინააღმდეგ, აგროვებს ტერორისტებს, რომელთა თავმოყრაც მოსკოვში შესაძლებელი იქნებოდა, რათა უზრუნველეყოთ ეგრეთწოდებული ჯგუფური ტერორისტული აქტების რაც შეიძლება უფრო წარმატებით განხორციელება. იგინივე ამზადებენ ტერორისტულ აქტს ამხ. ეჟოვის წინააღმდეგ. დრობნისიც ამზადებს ტერორისტულ აქტს ამხ. ეჟოვის წინააღმდეგ. მურალოვი ამზადებს აქტს იმათ წინააღმდეგ, ვინც მასთან ციმბირში ჩავა, ამხ. ეიხეს ჩაუთვლელად, რომელიც იქ ცხოვრობს. ასეთია გეზი: გაითვალისწინონ, გამოიყენონ პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელთა გამგზავრება პერიფერიაში და მოაწყონ მათი მკვლელობანი.

(დასასრული იხ. 31 იანვრის ნომერში)

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 31 იანვარს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ტროცკისტი კონტრრევოლუციონერები — სამშობლოს მოღალატენი, ფაშიზმის აგენტები, კაპიტალიზმის საზიზღარი რესტავრატორები". საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალიზმი და თანასწორობა". საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალისტური თანაცხოვრების წესები". საღამოს 7 საათზე.

○

81 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიკომის სხდომების დარბაზში მოწვეულია **საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი.**

დღის წესრიგშია: რაიკომის ბიუროს ანგარიში საქ. კ.პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლებაზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებელია ამხ. შირცხულავა.

— **კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში** 31 იანვარს, საღამოს 7 საათზე პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. სულეიმანის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

— **საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან** არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. მიხეილ თედორეს-ძე მიმინს გამოცხადდეს ამხ. აგასაროვთან (ძერჟინსკის ქ. 8, მეორე სართული).

— **კიროვის პარტრაიკომი** იუწყება, რომ 31 იანვარს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომების დარბაზში გაიმართება პროპაგანდისტთა სემინარის გაერთიანებული მეცადინეობა საკითხზე: საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის მასალებზე განმეორებითი მეცადინეობის ჩატარების მეთოდის შესახებ. ხელმძღვანელია ამხ. გრ. სოსელია. ყველას დასწრება (თბილისის კომიტეტის და რაიკომის კურსების მსმენელებისაც) სავალდებულოა.

— **საქ. კ. პ. (ბ) ც.კ.-ის ხელმძღვანელი** პარტორგანოების განყოფილებაში (ც. კ-ის შენობა, მეორე სართული, ოთახი № 37) ამხ. ჯოგუაძესთან უნდა გამოცხადდეს ალექსანდრე საჯაია — ლანჩხუთის რაიონიდან.

— **საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი** აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 0710350, გაცემული ქობულეთის რაიკომის მიერ შებან მემედის-ძე ჯინჭარაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომი** აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 1526534, გაცემული დუშეთის რაიკომის მიერ გასული წლის 21 ივნისს ამხ. ვასილ დავითის-ძე ასაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

◇

კრებები

— **ხელოვნების მუშაკთა კლუბში** (მახარაძის ქ. 8) დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე გაიმართება არქიტექტორ ზ. ა. ქურდიანის მოხსენება ფუნიკულიორის რეკონსტრუქციის პროექტის შესახებ.

მუსიკ-ჰოლი
30 და 31 იანვარი
პრემიერა
მონაწილეობენ: უცხ. ატრაქციონი **რენერი**.—იუმორისტები **დელი** და **მირი**.—**ივერი** და **ნელსონი** (ბალეტი).—**სლავსკები**.—**რასკაზოვა**.—**ნელგარი**.—**იალოვები**.—**ამურსკი**.—**სერგეი ბაბოვი**—და ორდენოსნები **სალარაძე** და **ჯაფარიძე**.
დასაწყისი საღ. 9 ს. 50

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი
30-I პრემიერა ალკაზარ
1-II 22/I-ის თარიღით გაც. ბილეთები ძალაშია. ალკაზარ

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
30-I წარ. № 93 მზის დაბნელება საქართველოში
2/II წარ. № 94 იცკა რიქინაშვილი

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში
ოქტომბერი 6. 7-40, 9-20. 11 — ახალი ხმოვანი ფილმი უმზითვო პატარძალი რეჟ. — ი. პროტოზანოვი.
დამკვრელი 6-30, 8, 9-30 11 — სპორტ. კომედია: მეკარე
კომკავშირი რელი 6-30,8,9-30,11 — ახალი ხმოვ. დოკუმენტ. ფილმი ხალხთა დღესასწაული
რ. ლუქსემბ. დღით და საღ 6-30,8-30,10-3 — მხატვრ. ხმოვ ფილმი პაპიმრები
26 კომ. სახ. 6-30 8-30 10-30 — ხმოვ. ფილმი უკანასკნელი ბანაკი
ახალი ამბები 6-30 — საბჭ. ხელოვნება № 6, ხმოვ. ჟურნ. № 57 და 58

1 თებერვალს, საღამოს 8 საათზე,
თბილისის განათლების განყოფილება
განათლების მუშაკთა სახლის საკონცერტო დარბაზში აწყობს
ა. ს. პუშკინის
ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს.
შესვლა მოსაწვევი ბარათებით.
16749

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომი და რაიაღმასკომი მწუხარებით იუწყებიან რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წევრის ამხ. ვანო არჯევანის-ძე წილოსანის გარდაცვალებას.

ავტ. ქრ. 123.
1 თებერვალს გაიხსნება ამერიკული ატრაქციონი
მოტო მარულა (ვერტიკალური კედელი)
ამერიკელი არტისტების
Bob Carew და Kitti O'neille-ს
მონაწილეობით.
სეანსები ყოველდღე საღ. 4—11 ს. გამოსასვლელ დღეებში დილის 12 ს-დან. შესვლა—1 მან.
50

დღეს, 30 იანვარს და

ცენტრსახცირკი
სახცირკი
ტელ. 3-11-44
ყოველდღე
კიო
გასტროლები—თავისი 25 ასისტენტით

და აგრეთვე მთელი დასი. დასაწყისი 8-30 წ.
პროგრამის მეორე ციკლი—ახალი პროგრამა, ახალი გასტროლიორები. სალარო ღიაა 12 ს. 2 საათამდე და 5 ს.
დღეს, დღისით ერთი წარმოდგენა. დასაწყისი 2 ს. 10-8

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3-63-03 და 3-08-67, სადივნისო: 3-06-88. განყოფილებისა: პარტიულის—3-57-61, სასოფლ.-სამეურნეო—3-73-40, მშრომელთა წერილების—3-73-24, ღამის რედაქტორის—3-26-67, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-27-04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული ა—8192